საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. პარასკევი 25 აპრილი 1919 წ. პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ერთობა

ფასი 75 კაპ.

[illegible] ფასი: 1 თვით 18 მანეთი [illegible] ნომერი ღირს 75 კაპ. განცხადების ფასი, [illegible] სტრიქონი—1 მან. [illegible] განცხადება 25 მან. [illegible] განცხადება უნდა წარმოდგენილ იქნას არა უგვიანეს დღისით 12 ს. [illegible] წერილები არ იბეჭდება. [illegible] კორესპონდენტებს [illegible] კონტროლდება.

[illegible] № 199 [illegible] „ერთობის" რედაქციაში, [illegible] 10—11 საათამდე [illegible] № 94

ტელეფონი 16—62.

№ 89 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტისა. № 89

ღრმად დამწუხრებული დედა სალომე, ძმა გიორგი, და ნენიკო, სიძეები: გიორგი ნანეიშვილი, სამსონ მაჭავარიანი, დისწულები და ძმისწულები: შურა, ნადია, გოგუცა, ცუცუნა, გუგული, კატო, გრიშა, დიმიტრი და კიტუშა აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარ და ძვირფასი

აკაკი მდივნისა

გადახდილ იქნება სოფ. [illegible] 29 აპრილს. (2—2)

გამოუთქმელი მწუხარებით [illegible] და გულდაწყვეტილი მეუღლე [illegible] ბეჟუაშვილისა, შვილები: არისტოფანე, ზოია, [illegible] და [illegible] იოსების აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს, რომ 26 აპრილს (ახ. სტ.) სადგურ ზესტაფონში გადახდილ იქნება ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი. პირველი საყვარელი მეუღლისა და მეორენი ძვირფასი მამის, [illegible] სადგურის უფროსის

იოსებ გიორგის ძე გერექიანის

სულის მოსახსენებლად. (2—2)

მწუხარებით მეუღლე [illegible] კალანდია, [illegible] ძე, მისი და [illegible] იოსების ძე კალაძეები, [illegible] და [illegible] აუწყებენ ნაცნობთ და ნათესავთ გარდაცვალებას: პირველი საყვარელი ქმრისას, მეორე შვილისა, მესამენი მამისა მეოთხე ძმის და მეხუთე ცოლის ძმის

იოსებ ანდრიას ძე კალაძისა

რომლის დაკრძალვა მოხდა 17 ამა თვეს სოფელ [illegible],

ალექსანდრე [illegible] ძე მეუღლით ბაბალე, შვილებით გიორგი და მაშო [illegible] აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, პირველის შვილის შვილი [illegible] საყვარელი დისწულის

ოსიკო ტარასიშვილის

გარდაცვალებას. მიცვალებულის გამოსვენება ხუთშაბათს, 24 აპრილს, თბილისის სადგურზე საღამოს 7 საათზე, დაკრძალვა მოხდება შაბათს 26 აპრილს სოფ. [illegible].

შაბათს, 26 აპრილს 1 საათ. ქუჩის წმ. ნინოს ეკლესიაში გადახდილ იქნება 40 დღის წირვა და პანაშვიდი

ეკა ალმასხანის ასულის მამულაშვილის

სულის მოსახსენებლად

გამოვიდა

№ 1. **„შვიდი მნათობი"** № 1.

ფასი 25 მანეთი.

საწყობი: პლეხანოვის პროსპექტი, № 178. (2—2)

კავკასიის რესპუბლიკების კონფერენცია

დღეს უნდა შეიკრიბონ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლები. დღეს პირველად შეხვდებიან ერთმანეთს ისინი, ვინც ამ ერთი წლის წინეთ საერთო ქვაბს ეწეოდენ ამიერ-კავკასიის ცხოვრების მოსაწესრიგებლად, მაგრამ ვინც ცხოვრების ულმობელმა ლოღიკამ, გარეშე წინააღმდეგმა მტერმა და შინაურ ძალთა სხვადასხვა მიმართულებით გაწევამ ჩამოაშორა ერთი-მეორეს. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი რამ განვიცადეთ, საუკუნოებიდან ცხოვრების გაკვეთილები განვლეთ, ვიგემეთ ერთობა, [illegible], ერთმანეთის მტრობაც, ომიც და მეგობრობაც. დღეს კონფერენციამ უნდა დასკვნა გამოიტანოს ჩვენს განვლილს, ჩვენს განვლილ გაკვეთილებს.

ინტერესი ამიერ-კავკასიის დემოკრატიის როგორც მშრომელი ხალხისა, მოითხოვს გარკვეულ გზაზე დადგომას, ურთიერთის დათმობას, ერთი გზის გამონახვას, გაერთიანებისაკენ სვლას, ერთი სოლიდარობისთვის მტკიცე საფუძვლის ჩაყრას.

ჩვენ ვიყავით გაერთიანებული გარეშე ძალით, რუსის ხმლით, მისი ზეგავლენით და ბატონობით. ჩვენ ვიყავით გაერთიანებული რევოლუციის პირველი აღფრთოვანებით, მისი დიადი ლოზუნგებით. მაგრამ ამ ერთობის ხანამ ვერ გასტანა, გაიარა, უცხო ძალა წავიდა, რევოლუციის აღფრთოვანება მინელდა, კლასობრივი ცხოვრების სიმწვავე მთელი თავის სიგრძე სიგანით წინ წამოდგა, ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ პირობების გამო კლასთა ბრძოლამ აქ ეროვნული ფორმები მიიღო, ერთი ბრძოლის სხვა [illegible] და ამით მთლიანობის პირველი, რომანტიული ხანა დასრულდა [illegible] დარღვევით.

დღეს უნდა ჩაეყაროს ერთობას ახალი საფუძველი, გაერთიანების წმინდა გზა უნდა გაიდოს შეთანხმების ხაზებით. და მას უნდა საძირკვლად ჩაედოს რეალური ინტერესები დემოკრატიის, ხალხის, რომელიც არის იმავე დროს ყოველი ინტერესი რესპუბლიკების, რომელნიც ამიერ-კავკასიის სინამდვილეში არსებობენ. უნდა შეიძინოს ხორცი და სისხლი იმ ლოზუნგებმა, რომელთათვისაც იბრძოდა დემოკრატია, უნდა მიიღონ მათ კონკრეტული, ხელშესახები გამოხატულება.

ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ დიპლომატები, რომელნიც იკრიბებიან ხალხის სახელით, უკეთესად და უტყუარად გამოთქვამენ ხალხის სურვილს, მის სულისკვეთებას.

მაგრამ ერთი ცხადია, ხალხს აღარ სურს არა მტრობის ალის გაღვივება, არამედ მეგობრული დამოკიდებულება. მშრომელთა ინტერესი [illegible] ერთად სვლას და არა დაქუცმაცებას.

კონფერენციის წინ უძევს მთელი რიგი ეკონომიური საკითხების, კონფერენციამ იგინი უნდა ხალხის სასარგებლოთ გადაჭრას, წმინდად დემოკრატიის იდეალის სახსრით დამყარებით, შექმნის ნიადაგს სრული სოლიდარობისათვის.

ყოველი გადახვევა ამ ინტერესებისაგან წარმოშობს განხეთქილებას და გათიშვას.

ამ მხრივ, უნდა გამოვტყდეთ, ჩვენ მეტს ველით თვით ხალხის მიერ აშკარად გამოთქმულ ნებისყოფისაგან. მისი ხმა, წმინდად მისი [illegible] ხმა შეარიგებს [illegible] და დასახავს მთლიანობის გზას, რომელიც მცირე ეკონომიური საკითხებიდან დაწყებული, შემდეგ ცხოვრების ყველა სფეროზე გავრცელდება და გაათიშულ ამიერ-კავკასიის [illegible], გადააბამს, გადაარჩენს, რითაც აცილებს დემოკრატიის [illegible] და ამიერ-კავკასიის [illegible].

საქართველოს მთავრობა ვერ გადაუხვევს საქართველოს დემოკრატიის მიერ ნაკარნახევ გზაზე, ვერ უღალატებს მის წარმოუდგენელ ლოზუნგებს.

საქართველოს დემოკრატია ამ მხრივ სრული [illegible] თავის მთავრობას.

და ჩვენ იმედს გამოვთქვამთ, რომ სხვა რესპუბლიკების დემოკრატიაც ასეთივე ძლიერი [illegible] მისცემენ თავის მთავრობას და ამით ერთი სოლიდარობის პრინციპის განხორციელება ყოველ დაბრკოლებას ასცდება თავიდან.

კიდევ უკანონობაზე

ყაჩაღობა, თვითსამართლობა, მკვლელობა, ცემა-ტყეპა—ჩვეულებრივ მოვლენათ გადაიქცა. დღემდის მიმალული ნაძირალები [illegible] ამოძრავდნენ და თავის ბნელ საქმეებს უშიშრად და დაუსჯელად აკეთებენ.

დღე არ გავა—ვინმე არ გაძარცვონ; დღე არ გავა—ვინმე არ მოჰკლან; დღე არ გავა—ვინმე არ გაჰქურდონ. ცხოვრება პირდაპირ აუტანელი გახდა და ეს ქმნის ისეთ ატმოსფეროს, როცა თავისუფლებისათვის რესპუბლიკა ყაჩაღთა და ნაძირალთა ბატონობის სანახავი ხდება.

ყაჩაღობა-ავაზაკობის გაძლიერებას ბევრი სხვადასხვა მიზეზი აქვს, მაგრამ ერთი უმთავრესი მიზეზთ შეიძლება ჩაითვალოს მისი სრულიად დაუსჯელობა. დაუსჯელობა, [illegible] ავაზაკებს [illegible] და ასე ხელს უწყობს მათ გამრავლება-გაძლიერებას.

არაფერი არ უშლის ხელს ჩვენს დღევანდელ მდგომარეობას ისე, როგორც ეს [illegible] ძალიანებისა [illegible], [illegible] და გამკითხველი კი ცოტაა.

მოსალოდნელი იყო, რომ მილიცია, სოფლის ადმინისტრაცია ენერგიულად შეუდგებოდა მათ წინააღმდეგ ბრძოლას, მაგრამ სამწუხაროდ ეს არ ხდება და ეს კიდევ უფრო ამრავლებს ავაზაკთა ბრბოებს.

კიდევ მეტი. ბევრ ადგილას თვით ადმინისტრაცია, მილიცია იღებს პირად მონაწილეობას ავაზაკობაში და მით სამწუხაროთ ჩრდილს აყენებს რესპუბლიკის პრესტიჟს.

არც ერთი დარგი ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრებისა არ არის ისეთი მნიშვნელოვანი ჩვენს დღევანდელ პირობებში, როგორც ადმინისტრაციული აპარატის სათანადოთ მოწყობა. და არც ერთი დარგი ისე მოუწყობელი არ არის, როგორც ადმინისტრაცია.

ადმინისტრაციაში, მილიციაში ბევრი უვარგისია. ბევრი თვით ავაზაკობს. ბევრი ხელს უწყობს და ასე რესპუბლიკას ხარჯით რესპუბლიკასვე ძირს უთხრება.

ადმინისტრაცია თავს იმართლებს იმით, რომ სასამართლო არ სჯის მათ მიერ დაჭერილ ავაზაკებს და მით მათ წინააღმდეგ ბრძოლას უნაყოფოთ ხდის. სასამართლო კიდევ ადმინისტრაციას სდებს ბრალს და ასე ერთი-მეორეს თან დაბრალებაში [illegible] მოქალაქე. არასდროს არ ყოფილა მოქალაქის პირობები ისეთ საფრთხეში ჩაყენებული, როგორც არის დღეს და თუ არ იქნა სასწრაფო და განსაკუთრებული ზომები მიღებული ადმინისტრაციის გასაჯანსაღებლად, შეიქმნება ისეთი პირობები, როცა შეუძლებელი გახდება რამე დადებითი მუშაობის დაწყება-განგრძობა. ეს თითქოს შეიგნეს ადგილობრივმა ორგანოებმა და ამ მხრივ პირველი ნაბიჯი გადადგა ფოთმა, რომელმაც დაითხოვა მილიციის მთელი შემადგენლობა და [illegible] ქალაქს დაუყენა.

რამდენათ ძლიერი უნდა იყოს ადმინისტრაციის [illegible], თუ [illegible], რომ აქამდის მიიყვანონ [illegible]!

ფოთის მაგალითი მისაბაძი უნდა გახდეს და პირველ ყოვლისა მას უნდა მიბაძოს თბილისმა. საზოგადოებრივ ორგანოებს—ერობებს და თვითმართველობებს—დღეს არ აქვს ამაზე უფრო დიდი საქმე. ამაზეა დამოკიდებული სხვა ყველა [illegible].

ერობაზე მეტი მართებს თვით შინაგან საქმეთა სამინისტროს. მილიციაში დღეს არ მიდის ცოტათ თუ ბევრათ მცოდნე თავის მოვალეობის. არ მიდის პირველ ყოვლისა ჯამაგირის სიმცირის გამო. [illegible] შემოკლდეს მილიციონერთა რიცხვი, მარა გაუჯამაგირდეს მისი დარჩენილს. სამინისტრომ არ უნდა დაზოგოს არც შრომა, არც ქონება, არც სახსრები.

[illegible] დათხოვნილ იქნას [illegible] ყველა უვარგისი და საეჭვო ელემენტები; [illegible] გადიდებულ იქნას მილიციის ჯამაგირი, რომ ის მისაღები გახდეს უფრო მომზადებულ პირებისათვის; [illegible] დაარსდეს ყაჩაღობასთან საბრძოლველად განსაკუთრებული ორგანო. განსაკუთრებული პირობები განსაკუთრებულ ზომებს ითხოვს და აქეთ [illegible] ყველას, ვისაც უნდა დღევანდელი მდგომარეობის შეხება და მისი განმტკიცება.

უკანასკნელი ცნობები

ოზურგეთი, 23 აპრილი. მაზრის კომისარმა [illegible] 18 აპრილს სოფელ [illegible] სახლში [illegible] მონასტრის ოქროსა და ვერცხლის ნივთები: [illegible] ხატები, [illegible], [illegible] და [illegible], თასები და სხვა, წონით 18 გირვანქა და 6 მისხალი. დამნაშავეებად [illegible] და სხვები. ამ გარემოებამ დიდი აღშფოთება გამოიწვია ხალხში. გამოძიება სწარმოებს.

თბილისი, აპრილის 24. ინგლისის მისიამ [illegible] ოფიციალური ცნობა: დონის ფრონტი: 15 აპრილს [illegible] ჩრდილოეთით დონის ყაზახებს მოუხდა შეტაკება ბოლშევიკების ლაშქართან. ბრძოლა ყაზახების სასარგებლოდ დამთავრდა. მათ წამოიყვანეს მრავალი ტყვე და ხელთ იგდეს 28 ზარბაზანი და რამოდენიმე ტყვიისმფრქვეველი. ძლიერი ბრძოლა სწარმოებს [illegible] ჩრდილოეთით. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ მომხდარა.

„სომხური საინფორმაციო ბიურო ბაქოში"

ბაქოში არსებული სომხური საინფორმაციო ბიურო ახალციხეში მომხდარი ამბების გამო ავრცელებს ისეთ ინფორმაციის მოწოდებას, რომელსაც მიზნათ აქვს სომხებთან ერთად საქართველოში მცხოვრებ სხვა ერების ამხედრება საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წინააღმდეგ.

ამ ქამად თავიანთი მფარველობის ქვეშ აყვანილი ჰყავს სომხებს შოვინისტებს ებრაელები და მუსულმანები. მათ რა თქმა უნდა, არ აინტერესებს ებრაელების ბედი, მაგრამ როცა ასე მოხერხებულად შეადგენენ ინფორმაციას, როცა სომხების დევნასთან ერთად ებრაელების შევიწროვებაზედაც ლაპარაკობენ,—ამით იმედი აქვთ, რომ მოკავშირეებს გადაჩენენ და ბრძოლა გაუადვილდებათ საქართველოს წინააღმდეგ, როგორც საქართველოში ისე მის გარეთ.

15 აპრილის ბაქოს გაზეთებში მოთავსებული ინფორმაცია სწორეთ ამ ხასიათისაა,

მაშ, მოუსმინეთ:

„ახალციხიდან ადგილობრივ წარმომადგენლის დახევის და ქართული ჯარების იქ შესვლის შემდეგ, ქალაქში მცხოვრებ სომხების და ებრაელების მდგომარეობა მეტად მძიმე შეიქმნა. მთელ ქალაქში ხდება ჩხრეკა, დაპატიმრება; ძარცვა და უწესოება [illegible] ჯარისკაცებისა [illegible]. მთელ მცხოვრებთ ტერორი [illegible]. დააპატიმრეს [illegible], რომელიც აპირებდენ მუსულმანებისათვის [illegible]. ასეთივე მდგომარეობაა სოფლებში. 45 სოფლამდე განადგურებულია. ქალები [illegible] გაიქცენ ქალაქში ინგლისელების [illegible], რომელთა რიცხვი 50 კაცია. ერთი კვირის შეწყვეტის შემდეგ ბრძოლა 29 მარტს ისევ განახლდა.

„ახალციხის და ახალქალაქის რაიონების სომხებ ლტოლვილთა მდგომარეობა მეტად მძიმეა. [illegible] ლტოლვილთა [illegible] თბილისის სომხურმა ეროვნულმა საბჭომ გაგზავნა იქ თავისი წარმომადგენელი ა. ტერგრიგორიანი, მაგრამ ფული არ მისცა; ამგვარად მათი მდგომარეობის გაუმჯობესება შეუძლებელია. პირიქით ახალი ბრძანების გამო ლტოლვილები კიდევ უფრო აუტანელ მდგომარეობაში ჩაცვივდნენ. ბრძანება შემდეგი შინაარსისაა: „28 მარტი, 1919 წ. ახალციხის გარნიზონი. ახალქალაქის და ახალციხის რაიონების მცხოვრებთა მიმართ, აღნიშნულ რაიონების მტრისაგან განთავისუფლებით: ვუბრძანებ აღნიშნულ მაზრების ყველა მცხოვრებთ წავიდნენ ქალაქ ახალციხიდან 3 დღის განმავლობაში, ამ ბრძანების გამოქვეყნებისთანავე. ამ ბრძანებას ვინც არ შეასრულებს დაჯარიმებულ იქნება 300 მ.—500 მ.—დე. აღნიშნული ბრძანება ძალაში შედის 28 მარტიდან. ქ. ახალციხის კომენდანტი გენერალ-მაიორი რატიევი, ადიუტანტი როტმისტრი ამილახვარი". ამ ბრძანებამ შექმნა ლტოლვილთათვის პირდაპირ აუტანელი პირობები: არ დაემორჩილები ბრძანებას და გაგაგდებენ ძალით, დაემორჩილები და შენ ფიზიკურ არსებობას მუდამ საფრთხე უნდა მოელოდე.

მთავრობამ მოსთხოვა ქალაქის გამგეობას სია 28—29 წლიანებისა სომხების და ებრაელებისა ჯარში გაწვევის გამოსაცხადებლად. ახლად გაწვეულებს დაუყოვნებლივ ფრონტზე გაგზავნიან მუსულმანების წინააღმდეგ. ჯარში გაწვევის ამბავმა მთელი მცხოვრებლები აღელვა".

ამბით, ასეთი ინფორმაციით ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, პროვოკაციით ფიქრობს ბაქოში არსებული სომხური საინფორმაციო ბიურო საქართველო-სომხეთს შორის კეთილმეზობლური დამოკიდებულების განმტკიცებას...

დამფუძნ. კრების სახალხო განათლ. კომისიისაგან

სწავლა-აღზრდის საქმეში დამფუძნებელი კრება მოწოდებულია უდიდესი მუშაობა შეასრულოს: უნდა ჩაეყაროს საძირკველი განათლებას. საქმის ძირითადად გარდაქმნას, ახალ საფუძველზე მის აგებას და აღორძინებას. ამ მხრივ დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიას დიდი პასუხისმგებლობა აქვს დაკისრებული. მან შესაფერი უნარის და ინიციატივის გამოჩენით უნდა შეიძლოს სწავლა-განათლების სფეროში ამ დიდ ცვლილებებთან დაკავშირებულ საკითხების დამუშავება და დამფუძნებელი კრებაში მიღებულ სათანადო დადგენილებების და კანონების ცხოვრებაში გატარება. მის საზრუნავ საგანს შეადგენს აგრეთვე არსებულ სკოლების შესაფერ სიმაღლეზე დაყენება.

რათა კომისიამ პირნათლად შეასრულოს მასზე დაკისრებული მძიმე მოვალეობა, აუცილებელია რომ ის მჭიდროდ დაკავშირებული იყოს რესპუბლიკის ყველა ადგილებთან და სკოლებთან იცნობდეს მათ მოთხოვნილებებს. ამ მიზნისთვის აუცილებელია კომისიას მიაწოდონ ყოველნაირი მასალები სწავლა განათლების საქმესთან დაკავშირებულ საკითხების გასაცნობად.

ამიტომ სახალხო განათლების კომისიამ თავის სხდომაზე 17 აპრილს 1919 წ. გადასწყვიტა მიმართოს რესპუბლიკის ყველა სკოლებს (დაბალ, საშუალო და უმაღლეს), ერობათა და ქალაქთა გამგეობებს, მასწავლებელთა რაიონულ და სამაზრო კავშირებს მუდმივ მიაწოდონ ხოლმე კომისიას შემდეგნაირი მასალები, სადაც სხვათა შორის აღნიშნული უნდა იყოს:

1) რიცხვი სახაზინო და არა სახაზინო სახალხო პირველ-დაწყებითი, უმაღლეს დაწყებითი, ტექნიკურ პროფესიონალური, საშუალო და სხვა სკოლებისა განსაზღვრულ რაიონში ან მაზრაში.

2) რა მდგომარეობაში იმყოფებიან საერთოდ ისინი და ცალ-ცალკე თვითეული?

3) არის თუ არა საჭირო ახალი სკოლის დაარსება; თუ არის—სად და რა ტიპის?

4) როგორია სკოლების ნივთიერი მდგომარეობა და მოწყობილობა.

5) არიან თუ არა მასწავლებლები, სკოლის მმართველები და [illegible] ზნეობის მხრით თავის დანიშნულების სიმაღლეზე, თუ არ არიან ვინ და სად?

6) რამდენი მოსწავლეა თვითეულ სკოლაში და სად? რამდენია მათი რიცხვი მთელ ქალაქში, რაიონში და მაზრაში?

7) სად და რამდენი ბავშვია სასკოლო ასაკის?

8) სად და რა ტიპის სკოლებია უფრო საჭირო?

9) შეიძლება თუ არა სკოლის მდგომარეობის გაუმჯობესება ადგილობრივი ღონისძიებით?

10) რაში გამოიხატება ერობათა და ქალაქთა გამგეობებთან არსებულ „სახალხო განათლების" განყოფილებათა მოღვაწეობა?

მასალები და ცნობები გამოგზავნილ უნდა იქნას შემდეგი მისამართით: დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიას, თბილისი—სასახლე.

დამფუძნებელი კრების სახალხო განათლების კომისიის თავმჯდომარე ლევან ნათაძე.

მდივანი ნ. ამნაიშვილი.

ფერშელიზმი

დღეს ჩვენში ფერშელიზმის საკითხი დღიურ საკითხათ დასმული და ცნობარებმა, მთავრობამ, ექიმთა კოლეგიამ, პრესამ ასე თუ ისე მას პასუხი უნდა გასცენ და შესაფერ კალაპოტში ჩააყენონ მომავლისთვის ფერშელიზმის მდგომარეობა. ფერშლების პროფესიონალურმა კავშირმა მთავრობაში თავის უფლების დასაკანონებლად კანონ-პროექტი შეიტანა და დიდი, ექიმებზე უფრო ფართე უფლებები მოითხოვა. მაგ. ფერშლები მოითხოვენ: მოწმობების გაცემას, თავისუფალ პრაქტიკას, ყველა წამლეულობის ხმარების, შრატების გამოწერის და ხმარების უფლებას. პრაქტიკას შეეხება განცხადების და წამლეულობის მოთხოვნების უფლებას და სხვას. კანონ-პროექტი მთავრობამ სამედიცინო-სასანიტარო განყოფილებას გადაუგზავნა აღნიშნულ საკითხზე თავის შეხედულების გამოსათქმელად. სამედიცინო-სასანიტარო განყოფილებამ მთავრობის წინადადება გასარჩევად ექიმთა ფართე წრეებში გადაიტანა. საქართველოს რესპუბლიკის ექიმთა პროფესიონალური კავშირის გამგეობამ თავის მხრივ ქვემოდ მოყვანილი დასკვნა გამოიტანა:

სხვადასხვა სიმაღლის ცოდნა და განათლება ამა თუ იმ სპეციალური მეცნიერების და საქმის მუშაკთ რამდენიმე ხარისხად ჰყოფს. ერთის მხრივ, უფრო დიდი, მეცნიერული, თეორიული ცოდნა, და, მეორეს მხრივ, თეორიული ცოდნით დასაბუთებული გამოცდილებული საქმიანობა, აი ის ხაზები, რომლებითაც ამა თუ იმ სპეციალური დარგის მუშაკნი იყოფიან. დიდი, უფრო მაღალი ცოდნა დიდს და მძიმე მოვალეობას აკისრებს შესაფერისი ცოდნის მქონე ადამიანს. მოვალეობა კი ამა თუ იმ სპეციალისტისა განსაზღვრავს იმ უფლებას, რომელიც მას ცოდნისა და მოვალეობის მიხედვით და ზომით მინიჭებული აქვს. [illegible] სპეციალური ტექნიკური დარგის მუშაკნი—ინჟინერი, ტექნიკი და უბრალო ტექნიკური მუშა. ამ სპეციალობის სხვადასხვა საფეხურზე მდგომთ არა ერთნაირი ცოდნა-განათლება აქვთ მიღებული. ცოდნის დაგვარად მათი სპეციალური საქმიანობის უნარი და ღირსებაც დიდათ განსხვავდება. სხვადასხვა ხარისხის მათი ცოდნა და საქმე მათ უფლება მოვალეობასაც დიდათ ანსხვავებს, და თვითეული მათგანი საზოგადოების განსაზღვრულ სულიერ და კულტურულ ღირებულებას წარმოადგენს. ასეთ მუშაკთა დიფერენციაცია სამკურნალო სპეციალურ დარგშიაც. სხვადასხვა სპეციალურ ცოდნას სამკურნალო მეცნიერების მუშაკნიც რამდენიმე ხარისხად, წრედ ჰყოფია. ექიმს, ფერშალს, სანიტარს და სხვ., ყველას თავისი სპეციალური ცოდნა აქვს, ყველას თავისი ცოდნის შესაფერისი სპეციალური დაბალ-მაღალი საზოგადოებული ღირებულება, ცოდნის თვითეულ მათგანს შესაფერი უფლება ეკუთვნის და შესაფერი მოვალეობაც ეკისრებათ. სპეციალური დარგის სხვადასხვა ხარისხის მუშაკთა ერთი მეორესგან დამახასიათებელი თვისებები იმაში

დღეს

დღეს თფილისში გაიხსნება კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია.

ინგლისური პრესის ცნობით ბავარიაში საბჭოთა მთავრობა გადაყენებულ იქნა ძალა-უფლება იქ ჰოფმანის მთავრობის ხელშია.

ჰამბურგში ისევ განახლდა შეტაკება სპარტაკელებსა და მთავრობის ჯარებს შორის.

გერმანიის დელეგაცია 25 აპრილის ნაცვლად ვერსალში მივა 28 აპრილს.

უნგრეთის საბჭოთა მთავრობას გადაწყვეტილი აქვს მოგერიებითი ომი აწარმოოს ჩეხების, რუმინელების და სამხრეთის სლავიანთა წინააღმდეგ. უნგრეთში სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია გამოცხადდა.

ინგლისის მხრის ცნობით დონის როსტოვის ფრონტზე მოხალისეებმა დაამარცხეს ბოლშევიკები.

მდგომარეობს, რომ ძირითად დაწყებით არც ერთს დაბალ ხარისხის მუშაკს ამა თუ იმ სპეციალობისას არ შეუძლიან საერთოდ საქმის უვნებლად და საჭიროების მოთხოვნილებისამებრ მაღლა მდგომ ხარისხის მუშაკის მოვალეობა—და საქმე შესრულოს იმიტომ, რომ მას შესაფერი საჭირო არც ცოდნა, არც სულიერი კულტურა აქვს. ფერშალს არასდროს და არავითარი საშუალებით არ შეუძლიან ექიმობა გასწიოს, რადგანაც მას არა აქვს მიღებული, ჯერ ერთი, საშუალო სასწავლებლის ის საერთო ზოგადი სწავლა-განათლება, რომელიც საფუძვლად, ნიადაგად უდევს შემდეგ სპეციალურ განათლებას. საშუალო განათლებით ხომ, როგორც ვიცით, პიროვნებაში იქმნება ინტელიგენტური ღირსება-ღირებულება და აი სწორედ, საზოგადოთ, ფერშლიზმს არა აქვს ეს ადამიანის პიროვნების დამახასიათებელი განძი. რაც შეეხება ფერშლის სპეციალურ ცოდნას—იგი ძალიან ვიწრო და პატარაა—ნაწყვეტებიანი.

ექიმის და ფერშლის, როგორც ზოგადის, ისე სპეციალური ცოდნის ასეთი დიდის განსხვავებით აიხსნება ის, რომ თავისთავად არავის გაუგონია, მაგალ. ფერშალი და დოსტაქარი, ფერშალი და ფსიხიატრი, ფერშალი და ბაქტერიოლოგი და ბევრი სხვა. ფერშალს აქვს ისეთი მცირე სპეციალური ცოდნა, ანუ, როგორც რუსულ ლიტერატურაშია ნათქვამი, ცოდნის ისეთი „მცირე ნაგლეჯები“, რომ მას მხოლოდ ექიმის ზედამხედველობით და ხელმძღვანელობით შეუძლიან იმუშაოს საქმის ანუ ავადმყოფის უვნებლად. აი რა აზრისაა რუსეთის მოწინავე ერობის ნაწილი საერთოდ ფერშლიზმზე: „ფერშლიზმის არსებობას ურიგდება საზოგადოება მხოლოდ ერთის პირობით, რომ იგი მუდამ ექიმის კონტროლის ქვეშ იმუშავებს და არასდროს არ დაკანონდება როგორც დამოუკიდებელი მოვლენა. ფერშლების პრეტენზიები—მათი ექიმებთან უფლებრივ გაერთიანების შესახებ, ფერშლების დამოუკიდებლად მკურნალური საქმიანობის მაძიებლობა, მხოლოდ ერთ რამეს ამტკიცებს: ფერშლიზმი შეუძლებელ რამეს მოითხოვს... ცხოვრების დღიური მოთხოვნილებანი რთულდებიან, ვითარდებიან. მედიცინა იმდენად განვითარდა, გაიზარდა, რომ უნივერსიტეტის კურსიც კი ვერ მყოფნის შესასწავლად და ხშირად კვალიფიციური ექიმიც კი გასაჭირში ვარდება, რომელსაც სამკურნალო ასპარეზზე გამოდის. სად შეუძლიან ფერშლიზმს, რომელსაც „ნამცეცოვანი“ სპეციალური ცოდნა მოუდის, ცხოვრების მიერ წამოყენებული მოთხოვნილებანი ღირსეულად შეასრულოს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ საქმიანობაში მუდამ ფერშლიზმს შეუძლიან სარგებლობა მოუტანოს ავადმყოფს მხოლოდ მაშინ, თუ იგი ექიმის ხელმძღვანელობით იმოქმედებს და ექიმის ხელქვეითად დარჩება. თუ ფერშლიზმს ასეთი პასიური როლი არ მოსწონს, იგი გამონახავს გზას შესცვალოს თავისი მდგომარეობა უნივერსიტეტში განათლების დამთავრებით, რითაც იგი ექიმთა კოლეგიის სრულუფლებიან წევრად შეიქმნება.

ფერშლიზმის საკითხში ექიმები ფერშლების მორჩილებას კი არ მოითხოვენ, არამედ მათ ჯეროვან განათლებას. ის ფერშალი, რომელიც შესაფერ ცოდნას მოიპოვებს, ექიმთა კოლეგიის მუდამ ძვირფასი ამხანაგი იქნება. ერობის მედიცინა ცოდნისა და სინათლის მეგობრობის ქვეშ ვითარდება. ფერშლიზმის დამოუკიდებლად ცნობა ნიშნავს უკან ბნელეთისკენ სვლას და ერობის მედიცინის იდეალების უარყოფას“.

ასეთია იგივე რუსეთის ერობის ექიმთა მოწინავე დემოკრატიული ნაწილის აზროვნება ფერშლიზმზე, როგორც პრინციპიალურ საკითხზე. რუსეთის ერობა ფერშლიზმს როგორც სამწუხარო უარყოფითს აუცილებლობას ურიგდებოდა და როგორც ასეთს თანამედროვე ცხოვრების მოვლენას ანგარიშს უწევდა და ცდილობდა მისი არსებობა შესაფერის პირობებში ჩაეყენებინა და არა დამოუკიდებლად ეცნო. რუსეთის მედიცინის აზროვნებაში იყო ისეთი მიმართულებაც, რომელიც შესაძლებლად სცნობდა ფერშლიზმის დამოუკიდებლად აღიარებას. ამ მიმართულებას წარმომადგენდნენ უფრო კერძო პრაქტიკის ექიმები და ის პირნი, ვინც ფერშლების განათლებას მეთაურობდნენ.

საინტერესოა აღვნიშნოთ ამ მიმართულების გამოხატული 1914 წლის მოსკოვის ყრილობის შემადგენლობა. იმ ყრილობას „ფერშლებს და ბებია ქალების განათლების“ მოღვაწეთა მეორე ყრილობას სულ 72 კაცი დაესწრო, რომელთაგან 36 ფერშალი იყო და 36 ექიმი. ყრილობამ თავის დადგენილებით მოითხოვა ფერშლიზმის დამოუკიდებლად ცნობა, ფერშლებისთვის თავისუფალ პრაქტიკის მინიჭება, ყოველნაირი წამლეულობის, შხამების და შრატების გამოწერის უფლება და ყოველნაირ შემთხვევაში მოწმობების მიცემა და ექსპერტიზის უფლება. ე. ი. ყრილობამ ფერშლებისთვის ექიმების სრული უფლებები მოითხოვა. ყრილობის დადგენილებანი მხოლოდ ქაღალდზე დარჩნენ.

ჩვენი ფერშლების გადაჭარბებული მოთხოვნილებანიც შეუსრულებელი უნდა დარჩეს, რადგანაც წინსვლის მაგივრად უკან ვერ გადავდგამთ ნაბიჯებს. არ შეიძლება დაკანონდეს ცხოვრების ის არა ნორმალური მოვლენა, რომელსაც მედიცინაში ფერშლიზმი წარმოადგენს, ვინაიდგან საკმარისი რიცხვი ექიმებისა არ მოიპოვება, იძულებული ვართ ფერშლიზმით ვისარგებლოთ. მომავალში ფერშლიზმი, რასაკვირველია, ჩვენშიც აღარ იქნება ისე, როგორც ეს საზღვარ გარეთ არის, იქ ექიმსა და ავადმყოფს შუა მხოლოდ სათნოების დები და ტექნიკურად მომზადებული სანიტარები სდგანან.

ასე უნდა გადასწყდეს ფერშლიზმი, როგორც პრინციპიალური საკითხი ერთის მხრივ მედიცინის მეცნიერებების და მეორეს მხრივ, ავადმყოფის ინტერესების გულისთვის.

ექიმი ი. ლომოური.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

24 აპრილი

გერმანული პრესის ცნობები.

საშუაბათს ჰამბურგში, როგორც ქალაქში ისე მის მიდამოებში საქმე ისევ დიდ შეტაკებამდე მივიდა. ქუჩებში გამვლელთა თავს ესხმოდნენ და სცარცვავდნენ. ბრბომ ხელში ჩაიგდო თავდაცვის 2 ავტომობილი. შიგ მყოფ პოლიციელებს იარაღი აყარეს. მოხდა სროლა, რომლის დროსაც მოკლულია რამდენიმე და მრავალი დაჭრილია. ამ გამოსვლების გამო ჰამბურგსა, ალტონსა და ვანდსბეკში საალყო წესები გამოაცხადეს. სახალხო თავდაცვის რაზმმა და პოლიციამ მკაცრი ბრძანება მიიღო, რომ დაუყოვნებლივ დახვრიტონ ყველა, ვისაც კი დაიჭერენ შეიარაღებულს თავდასხმასა და ცარცვაში, ან პოლიციისა და თავდაცვის რაზმელებისადმი წინააღმდეგობისათვის.

ქვანახშირის სიმცირის გამო მოსალოდნელია, რომ რკინის გზებზე მოძრაობა კიდევ შემცირდება. გალის ოლქშიაც მოძრაობა შემცირდება. კასელიდან იუწყებიან, რომ 72 მატარებელი შეწყვეტს მოძრაობას და მაინის ფრანკფურტს სამგზავრო და საბარგო მოძრაობის სრულიად შეწყვეტის საფრთხე მოელის.

საფრანგ. ცნობილი მფრინავი ვედრინი, რომელიც პარიზიდან რომში მიფრინავდა, გუშინ მონსის ახლო მოკვდა. პარიზიდან აფრენის შემდეგ გავიდა 4 საათი, რომ გამოურკვეველ მიზეზის გამო მანქანა ჩამოვარდა და დაიმსხვრა.

ციმბირის არმიამ ბოლშევიკების წინააღმდეგ სამხედრო მოქმედების დაწყებიდან 190 მილით წინ წაიწია. უკანასკნელათ ციმბირის არმიამ მდ. კამაზე აიღო სარაპული, რომელსაც ბოლშევიკები მედგრათ იცავდნენ.

საფრანგეთის მთავრობა ორშაბათს აპირებს დღესასწაულის გამართვას, როცა ადმირალი სერ დავიდ ბიტი 100 აფიცერის და 1000-ზე მეტი მეზღვაურის თანხლებით პარიზში ჩამოვა. დღისით „ინვალიდების სასახლე“-ში მას ზეიმით მიიღებს სამხედრო გუბერნატორი. შემდეგ ადმირალი, როგორც საპატიო სტუმარი, ინახულებს პრეზიდენტს და დაესწრება ოპერაში სადღესასწაულო წარმოდგენას.

იუწყებიან, რომ ზედ დრედნოუტს „ტენესი“-ს რომელიც მთელ მსოფლიოში უდიდესი გემი იქნება, ბრუკლინში ჩაუშვებენ წყალში. მისი წყალწყვა 32,300 ტონისა და შეიარაღებულია 12 თოთხმეტ დიუმიანი ზარბაზნით.

ინგლისის პრესის ცნობები.

მიუნხენში საბჭოთა მთავრობა დაეცა. სამხედრო ნაწილები, რომელნიც წითელ არმიის უნდა შეერთებოდნენ, აღარ სცნობენ საბჭოთა მთავრობას. ძალა უფლება კვლავ ჰოფმანის მთავრობის ხელშია. გამოცხადდა სამხედრო წესები.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან, რომ გადაწყვეტილია მოგერიებითი ომი აწარმოონ ჩეხების, რუმინელების და სამხრეთის სლავიანთა წინააღმდეგ.

უნგრეთში სათადარიგო ჯარისკაცთა მობილიზაცია გამოაცხადეს, მაგრამ საეჭვოა, რომ ისინი გამოცხადდნენ, რადგანაც გლეხებს აწუხებს საბჭოთა მთავრობის არსებობა.

გუშინ საღამოთი გვიან მარშალ ფოშმა გერმანიიდან ტელეგრაფით პასუხი მიიღო იმ დეპეშაზე, რომელიც კვირას ოთხთა საბჭომ გაუგზავნა გერმანიის მთავრობას და აცნობა, რომ თუ დელეგატებათ ბნელი პირები გამოგზავნეს, ისინი არ სცნობენ მათ. დელეგატებს უნდა ჰქონდეთ რწმუნება და უფლება საზავო პირობების ხელმოსაწერათ. გუშინდელ დეპეშაში ნათქვამია, რომ გერმანიის დელეგაცია შედგება 6 მაღალი თანამდებობის პირისაგან. დელეგაციის თავმჯდომარეთ იქნება გრაფი ბროკდორფ რანცაუ. დელეგაცია მომავალ ორშაბათზე ადრე არ ჩამოვა.

ამნაირათ, გერმანელების გეგმა ვერ განხორციელდა, თუმცა საქმე მაინც შეაფერხეს. ამის გამო საზავო ხელშეკრულებას შაბათის მაგიერ ორშაბათს წარუდგენენ გერმანელებს. ფიქრობენ, რომ ამ კვირაში კონფერენციის რამდენიმე სხდომა მოხდება მომავალ კვირის ამბებისათვის მოსამზადებლათ.

პარიზიდან იუწყებიან, რომ ბეატრისა ფირობს რობერტსონმა თავის სიტყვაში სთქვა, რომ ბრიტანეთის მუშათა პარტია არას დროს არ აყვება ბოლშევიზმს. დიდ ბრიტანეთში აზრადაც კი არ მოსდის არავის რევოლიუციის მოხდენა. რეფორმები ისე გატარდება, რომ წესრიგი არ დაირღვევა. რევოლიუციონური პროცესი აუჩქარებლივ ჩატარდება, თანდათანობით იქნება გადადგმული ნაბიჯები, რადგან ხალხმა ომის დროს შეიგნო თავის ძლიერება.

გენერალი ულიამ რობერტსონი კელნში ჩავიდა, რათა რეინზე მყოფ ინგლისის ჯარის სარდლობა გასწიოს.

ოთხთა საბჭო კიაო-ჩაოს საკითხის გარჩევას სამშაბათს აპირებს. შანდუნის საკითხი ერთობით გადაიდო. იტალიის მოთხოვნილებამ კონფერენცია გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენა, მაგრამ ჯერ კიდევ არის იმედი, რომ შეთანხმება შესაძლებელია. ორლანდოს წასვლა გადაიდო. დეპუტატების სხდომა მაისის 5 თვით გადაიდო. მიუთითებენ, რომ იტალიელები დაბრუნდებიან ოთხთა საბჭოს სხდომას, მაგრამ ისინი არ გამოცხადდნენ, ეს შესაძლებელია ჩაითვალოს კონფერენციიდან წასვლის მუქარათ, მაგრამ ეს, აშკარაა, იმიტომ მოხდა, რომ ოთხთა საბჭოს სურდა ჯერ ადრიატიის საკითხის განხილვა, რათა იტალიელებისთვის მოსაფიქრებლათ დრო მიეცათ და შემდეგ დაბრუნებოდნენ მათ მოთხოვნილებათა განხილვას. დილის სხდომის შემდეგ კლემანსო, ორლანდო და ლოიდ ჯორჯი დიდხანს მსჯელობდნენ შექმნილ მდგომარეობაზე. მთავარ შტაბში მათ ვერ აუხსნეს, თუ იტალიელები ბოლოს და ბოლოს დაეთანხმებიან გონივრულ საბუთებს, თუმცა ზოგი მათგანი დაბეჯითებით აპირებს წასვლას. როგორც ამბობენ, ლოიდ ჯორჯი და კლემანსო ვილსონს მხარს უჭერენ ფიუმეს საკითხში.

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ლოიდ ჯორჯი დათანხმდა ამერიკა-ირლანდიის დელეგატები მიიღოს მომავალ კვირაში. პრემიერს სურს მოუსმინოს დელეგატებს და, ალბათ, თავის მხრით ვრცელ პასუხს გასცემს, რათა განმარტოს ის უთანხმოება, რომელმაც თავი იჩინა ინგლისსა და ამერიკის შუა. ლოიდ ჯორჯი მზათ იყო ამ კვირაში მიეღო ისინი, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა, რადგან ბევრია ისეთი საქმე, რომელიც დაუყოვნებლივ უნდა განიხილოს კონფერენციამ, და ამის გამო დელეგატებს სთხოვა გადაედოთ წასვლის დღე. საქმის მდგომარეობა, რომელიც თითქმის არ აკმაყოფილებდა შეერთებულ შტატებს, ეხლა ირკვევა. ლოიდ ჯორჯს არაფერი აქვს საწინააღმდეგო მათთან თანამშრომლობისა, მათი განმარტების მოსმენისა და მზათაა მათთან ერთად განიხილოს მთელი საკითხი, მოლაპარაკება წინათ ისე სწარმოებდა, რომ შესაძლებელი იყო მხოლოდ საქმის გართულება. იმ პირს, რომელიც მათ ხელმძღვანელობდა, მხოლოდ ზიანის მიყენება შეეძლო ინგლისსა და ამერიკის შორის არსებულ მეგობრულ განწყობილებისათვის.

ლოიდ ჯორჯმა მალე მონახა ასეთ მდგომარეობიდან გამოსავალი იმით, რომ დელეგაციის პირადათ მიღების სურვილი განაცხადა, რათა ამნაირათ დაემტკიცებინა, რომ ის მზათაა ამერიკელებთან ერთად იმუშაოს ინგლისისათვის უმნიშვნელოვანესი და უმძიმესი საკითხის გადასაჭრელად.

ბოლშევიკების ცნობები.

მოსკოვი, 23 აპრილი. №-ის არმიის შტაბი. აპრ. 22, იმ გარემოებამ, რომ ვოლგის მხარეს საფრთხე მოელის, მაშინდელ მცხოვრებთა შორის რევოლიუციონური განწყობილება შექმნა. ალაფუზის ქარხნის მეპაპიდინემ მუშებმა განაცხადეს, რომ მზათ არიან იბრძოლონ რუსეთის და საერთაშორისო კონტრ-რევოლიუციის წინააღმდეგ და მოითხოვენ მკაცრი ზომები მიიღონ დეზერტირების წინააღმდეგ და დაუნდობელი ბრძოლა აწარმოონ შეთანხმების სახელმწიფოთა პოლიტიკის წინააღმდეგ. მეპაპიდინები მოუწოდებენ რესპუბლიკის მუშებს და გლეხებს, რათა სწრაფად დაეხმარონ წითელ ჯარებს და წითელ ვოლგის მხარის დაცვას კოლჩაკის მონარქისტულ ბანდებისაგან. ოსმალეთში მომხდარი რევოლიუციის ამბავმა უფრო გააძლიერა მათი აღფრთოვანება. ყველა მეპაპიდინე მუშები ეწერებიან მეპაპიდინე მუშათა წითელ პოლკებში. სამხედრო ცნობა. აპრილის 22. ჩრდილოეთის ფრონტი შენკურსკის მიმართულება. ჩვენმა ჯარმა გრიშინსკაია დაიჭირა. სამხრეთის ფრონტზე: მარიუპოლის დასავლეთით ჩვენ მანკუში და

კრიტიკული შენიშვნები

ჩვენი სიმბოლისტები.

უკანასკნელ სამი თვის განმავლობაში გამოვიდა სამი სალიტერატურო ჟურნალი: „მეოცნებე ნიამორები“, „თფილისის სარტყელი“ და „აისი“. მათში მოთავსებულია ლექსები იმ ჩვენი ახალგაზრდა პოეტებისა, რომლებიც იმყოფებიან სიმბოლიზმის გავლენის ქვეშ. ჩვენ ვამბობთ „სიმბოლიზმის“, თუმცა შეიძლება იმ მიმართულებისათვის, რომელსაც მისდევენ ჩვენი პოეტები, უფრო შესაფერი იქნებოდა სხვა სახელის გამოძებნა. მაგრამ საქმე იმაშია, რომ ისინი თავიანთ მიმართულებას სიმბოლიზმს უწოდებენ და ჩვენც მივიღოთ ეს სახელწოდება, მით უმეტეს, რომ სახელი შინაარსს არ სცვლის. რაც არ უნდა უწოდოთ ვარდს, ის თავის სურნელობას მაინც არ დაჰკარგავს,—ამბობს შექსპირი.—ეს ითქმის ჩვენ „ესტეტიურ სკოლაზედაც“, რომლის მოციქულებათ ჩვენში გამოდიან პაოლო იაშვილი, ვალერიან გაფრინდაშვილი, ტიციან ტაბიძე, გრ. რობაქიძე და სხ. dii minores, ან „ქართველი ჯენტლმენები“, როგორც მათ უწოდებს შალვა აფხაიძე, „ახალი სკოლის“ თეორეტიკოსი, რომლის წერილი „ქართული პოეზიის პერსპექტივები“ მოთავსებულია „მეოცნებე ნიამორებში“.

საზოგადოთ, ყოველ პოეტურ სკოლას გარდა პოეტებისა, ჰყავს თავისი თეორეტიკოსიც. პოეტები თავის სკოლის მიმდინარეობას ამკვიდრებენ, ასე ვთქვათ, მხატვრული სურათების საშუალებით, თეორეტიკოსები კი მეცნიერული და ესტეტიური ტრაქტატების დახმარებით. გავიხსენოთ, მაგალითად, ცრუ კლასიკების სკოლა საფრანგეთში, სადაც კორნელისა და რასინთან ერთად ამ სკოლის დამკვიდრებლათ მოღვაწეობდა ბუალოც, რომლის „L'art poètibue“ („პოეტური ხელოვნება“), ესტეტიური მანიფესტი და სახარება იყო ცრუ-კლასიკების.

თუ ყოველ ლიტერატურულ სკოლას ეპოვება თავისი თეორეტიკოსი, ეს ითქმის განსაკუთრებით იმ „მიმართულებაზე“, რომლის დამკვიდრება სურთ ჩვენში ჩვენს სიმბოლისტებს, რადგანაც მათი ლექსებიდან, რომელთა შინაარსი მეტად ბუნდოვანია, ძნელია გაიგო ამისი, თუ რას ამბობენ ისინი, ან რისი თქმა უნდათ.

გადაფურცლეთ ყველა გამოცემანი ჩვენი სიმბოლისტებისა, აიღეთ რომ ლექსიც გნებავთ, პირველი შემხვედრილი, აი თუ გნებავთ „წითელი ხარი“ პაოლო იაშვილისა, მოვიყვანთ ამ ლექსს მთლად, რომ მივსცეთ საშუალება მკითხველს მთლიანი შთაბეჭდილების გამოტანისა.

ყვითელი რქებით
წითელი ხარი,
ცეცხლი და ჩქარი
ვადიდოთ ქებით.

ცეცხლიან ყვავილებში მოჩვენება წითელი

ცხელი ცახცახით ელის,
რომ ქვეყნის ამღერება
იქნება მზის ნადიმი, შუადღის მშვენიერება.

გადაეცემა ბლით მხარე. ცახცახ მაჭრის კვნესით ხარი,
მიწა რქებით მონათხარი ნაკვერცხლებით სცვდება ზღვრის.
ხარის ლანდი გაჩნდა ტყეში. ზღვა აღარ სჩანს ოქროს მტვერში.
მიწის ლოცვა აქ ფრთას ვერ შლის, ვერ შლის სურვილს თაინაირს.

ხარსა ხარი მისდევს მზესთან.
ვინ დაითვლის წითელ ხარებს?
ჰაერს ფრთები აუკვნესდა.
ყველა მზისკენ! ყველა მზეში! მიწა ველარ გაგვაჩერებს!

ქვეყნის ცეცხლი რკალში სახლობს,
ის, რაც ცოცხლობს, შავად ახმობს,
რაც ტყეების დასანგრევად
ცხელ ზაფხულში ჩვენკენ ილტვის,
სანადიმოთ მოსაწვევათ
ჩვენ გვეგზავნის წითელ სიკვდილს.
და მზის ცხოველს, ყვითელ რქებით
ქვეყნად ცეცხლის ფრთით რომ დადის.
ჩვენ ვადიდებთ წმინდა ქებით
და ვეჩქარით ალურ ნადიმს.

მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი სტრიქონებიდან გამოსჭვივის ჭეშმარიტი პოეტური ტემპერამენტი ავტორისა, მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენ ამ ლექსიდან ვერაფერი გაიგეთ და არამც თუ თქვენ, მე მგონია, რომ თვითონ ავტორმაც არ იცის, რის თქმა უნდოდა მას ამ ლექსით და შიგ რა აზრის ჩაქსოვა. თუ შეიძლება ამ ლექსში რამე აზრის მზგავსის გამონახვა, ეს შეიძლება ისე, როგორც რომელიმე რებუსში, სადაც სიტყვების და სურათების ბუნდოვანი ნაგლეჯების შეერთებიდან გამოჰყავთ რამე მთლიანი სიტყვა.

რებუსების გამოსაცნობათ და მით უმეტეს ჩვენი სიმბოლისტების პოეტური რებუსების გასაგებათ საჭიროა ისეთი სპეციალისტი ამ საქმეში, როგორიც არის შალვა აფხაიძე, ავტორი „ქართული პოეზიის პერსპექტივებისა“, ამიტომ მეტად საინტერესოა გავეცნოთ მისი ესტეტიური ტრაქტატის შინაარსი და გავიგოთ, თუ რას ფიქრობს იგი ჩვენს სიმბოლისტებზე და მათი პოეზიის მნიშვნელობაზე. ეს ტრაქტატი თუმცა პატარაა (სულ ორი გვერდია), მაგრამ მდიდარია თავის შინაარსით და ფრიად ახალი და ორიგინალური აზრებით.

„ბრძოლის ველი, სწერს შალვა აფხაიძე, მოიფინა ძველი არმაზების ნამსხვრევებით. დღეს აღარ გვაწუხებს მათი ყვითელი გამონათება. ახალი სკოლა შეიმოსა გამარჯვებულის სამოსით. „ცისფერი ყანწების“ ყვავილით დაგვირგვინდნენ დღეს ჩვენში პოეზიის მსახურნი. საქართველომ ნახა თავისი თავი. და პოლიტიკური აღორძინებასთან ერთად დაიწყო ქართული ხელოვნების რენესანსიც“.

თუ ავტორის აზრს ჩვენ განვათავისუფლებთ რიტორიკის და მეტაფორების სამოსელიდან („ბრძოლის ველი“, „არმაზების ნამსხვრევები“ და სხვ.) ჩვენ გავიგებთ შემდეგს: „ახალმა სკოლამ“ დაამარცხა ძველი და ამ გამარჯვების დღიდანვე იწყება ახალი ხანა ქართული ლიტერატურისა, მისი რენესანსი. „ამ, რენესანსის სადავეს, ახალმა შკოლამ-სიმბოლიზმმა დაიკავა ხელში“, სწერს შ. აფხაიძე.

როგორც ხედავთ, ეს მეტად საინტერესო ამბავია. თქვენ, შეიძლება, არაფერი იცოდით იმ ბრძოლაზე და „არმაზის ნამსხვრევებზე“, შეიძლება არაფერი გაგეგონათ ქართული ლიტერატურის რენესანსზე, მაგრამ ყველაფერი ეს კარგათ იცის შალვა აფხაიძემ. დაუგდეთ ყური, იგი მოგითხრობთ კიდევ უფრო საინტერესო ამბებს-

„იყო წარსულში მზიანი გურჯისტანი. პოლიტიკურმა გენიამ შორს გადაიტანა მის მიერ დანთქმული ჩირაღდნები. გაშლილიყო გზა მწველი, ბაღდათისკენ მიმავალი. ძვირფას ფარჩებით და ნოხებით დატვირთული აქლემები, როგორც ღრუბლები იძვრებოდნენ ამ გზაზე. ძვირფას ქვებს კინძავდნენ ქართველი ჯენტლმენები მაცდურ კრიალოსნებათ. ფერად მირაჟებში და ამ ქვებში დაიბადა რუსთაველის სიტყვა... და შემდეგ: „შოთა რუსთაველიდან დაიწყო გზა ძვირფას კენჭებით მოკირწყლული. უსასრულო დროში დაიკარგა იგი. „ცისფერმა ყანწებმა მოძებნა და განიზრახა მასზე სიარული“ (ხაზი ჩვენია).

პოეტური მეტაფორები: აქლემები, ძვირფასი ქვები, მაცდური კრიალოსნები, კენჭები, მირაჟები და სხვ. აბნელებენ საწყალობლად შალვა აფხაიძის აზრს, მაგრამ მისი გაგება მაინც არ არის ძნელი. ჩვენ ვტყობილობთ ამ ამონაწერიდან შემდეგს: ქართულ პოეზიის ისტორიაში ყოფილა ორი ბრწყინვალე ხანა: ერთი—რუსთაველის და მეორე... „ცისფერი ყანწების“ ის რაც იყო რუსთაველის შემდეგ „ცისფერ ყანწებამდის“ მოსახსენებლათაც არ არის, მით უმეტეს, რომ „გზა ძვირფას კენჭებით მოკირწყლული დაიკარგა უსასრულო დროში“... მაგრამ საქართველოს მოევლინა „ცისფერი ყანწები“, რომელმაც „მოძებნა ეს გზა და განიზრახა მასზე სიარული“, რის შემდეგ დაიწყო ახალი ხანა ქართული პოეზიისა—რენესანსი.

ასე სწერს ქართული პოეზიის ისტორიას შალვა აფხაიძე. თქვენ შეგიძლიათ არ დაეთანხმოთ მის აზრს, მაგრამ არ შეგიძლიათ იმავე დროს უარჰყოთ, რომ იგი ფრიად ახალი და ორიგინალურია. მთელი ქართული ლიტერატურა შოთა რუსთაველის სიკვდილის შემდეგ აფხაიძის სქემის თანახმად ორ პერიოდათ განიყოფება: რუსთაველიდან „ცისფერ ყანწებამდის“ ერთი პერიოდი და „ცისფერ ყანწებიდან“ დაწყებული—მეორე ბრწყინვალე რენესანსი.

თქვენ გესმით, რასაკვირველია, რატომ „ძველ შკოლაზე“ არაფერს ლაპარაკობს ჩვენი ისტორიკოსი გარდა ორიოდე მეტაფორული სიტყვისა: არ ღირს, რა თქმა უნდა, ლაპარაკი იმაზე, რაც ეხლა მხოლოდ „ნამსხვრევებს“ წარმოადგენს. შეიძლება იყო რამე, თუ ლიტერატურა არა, ლიტერატურის მსგავსი მაინც, შოთა რუსთაველის სიკვდილიდან „ცისფერი ყანწების“ დაბადებამდის, მაგრამ ყველაფერი ეს დაამსხვრიეს პაოლო იაშვილმა და ტიციან ტაბიძემ, გაანადგურეს ის, რაც გვაწუხებდა „ყვითელი გამონათებით“ და გამარჯვებულნი ამაყათ დასეირნობენ „ბრძოლის ველზე“, სადაც ჰყრია ძველი კერპების ნამსხვრევები („о поле, поле, кто тебя усѣялъ мертвыми костями?“) „დასეირნობენ „ცისფერი ყანწების“ ყვავილით“, როგორც ამბობს შალვა აფხაიძე თავის მხატვრულ და მეტაფორულ ენაზე და .. წითელი ყვავილით გულზე, [illegible] ჩვენ, რაც „არმაზებზე“ გამარჯვების სიმბოლო არის ალბათ.

საინტერესოა ეხლა ვიცოდეთ, ვინ არიან ის „ქართველი ჯენტლმენები“, რომლებიც „ძვირფას ქვებს კინძავენ მაცდურ კრიალოსნებათ“, ეს გახლავთ განსაკუთრებით ორი „ქართველი ჯენტლმენი“ პაოლო იაშვილი და ვალერიან გაფრინდაშვილი.

დაუგდეთ ყური ისევ ჩვენ „ჯენტლმენს“ აფხაიძეს.

„პაოლო იაშვილში ახმაურდა ხალიჩიანი აღმოსავლეთი: გაბედულ მეტაფორებით, [illegible] კონტრასტებით. პ. იაშვილის პოეზია მშვენიერი მოზაიკაა ძვირფას ქვებით, ფერების ჩრდილოებით და ხმებით მოკაზმული პაოლოს ტრიოლეტებში გამოთბარ სიტყვებით იკვეთება აღმოსავლეთი. მეორე მხრით დასავლეთიც [illegible] ვალერიან გაფრინდაშვილში, თავისი შეურყეველი ფანტაზიით, ინდივიდუალიზაციის ავათ მყოფობით, შეშინებულ სახეებით. გაფრინდაშვილის პოეზია დორიული ტაძარია გამოხატული, ამაყი არხიტექტონიკით. მისთვის საყვარელია სიტყვის არა ნამდვილი, არამედ შესაძლებელი, ინტიმური აზრი. უნდა მოხდეს ამ ორი პოლიუსის შეხვედრა“... და სხვ.

ლამაზათ სწერს შ. აფხაიძე. როგორც ხედავთ პაოლოში „იკვეთება“ აღმოსავლეთი, ვალერიანში დასავლეთი. ასე რომ ისინი ერთმანეთის დამატებაა. პაოლო არ ვარგა უვალერიანოთ და ვალერიანი უპაოლოთ და ქართული ლიტერატურა კი უორივეთ.

რა ბედნიერია ქართველი ერი, ქართული ხელოვნება და ლიტერატურა, რომ საქართველოს მოევლინა ორი დიდებული პოეტი, რომლებშიაც ერთ და იგივე დროს „იკვეთა“ ერთში აღმოსავლეთმა მეორეში დასავლეთმა. რა ბედნიერი შემთხვევაა ეს ქართული ლიტერატურისათვის. ეხლა შეგვიძლია დავამშვიდოთ: ქართული ლიტერატურის ბედი და მომავალი საიმედო ხელშია.

პ. იაშვილმა და გაფრინდაშვილმა გააკეთეს დიდი საქმე, დარჩა კიდევ წვრილმანი გასაკეთებელი და ამას გააკეთებს „ახალი შკოლა“ ან როგორც შ. აფხაიძე ამბობს—„სიმბოლიზმი ამაყი სიტყვით შეადუღებს ჩვენში პაოლო იაშვილის კერპთთაყვანისცემის პანტეიზმს და ვალერიან გაფრინდაშვილის ქრისტიანულ სიღრმეს“.

თქვენ შეგიძლიათ ეხლა მხატვრული სურათი შ. აფხაიძისა, მისი „პერსპექტივები“ მიიყვანოთ ლოღიკურ დასკვნამდის და წარმოიდგინოთ ჩვენი აღორძინებული ლიტერატურა, რომელსაც მოელის სინთეზი პ. იაშვილის და ვ. გაფრინდაშვილის პოეტური მოტივებისა...

მაშინ... მაშინ ქართული ლიტერატურა მიაღწევს უმაღლეს წერტილს და მადლიერი ქართველი ერი აჰყვებს ძეგლებს თავის დიდებულ მგოსნებს: პაოლო იაშვილს და ვალერიან გაფრინდაშვილს. მათ სიცოცხლეშივე დაამშვენებს მათ ძეგლებს „არმაზის ნამსხვრევების“ და „ცისფერი ყანწების“ ბარელიეფებით, აუგებს მათ ტრიუმფალურ „არკებს“, ჩასვამს მათ „ტრიუმფალურ ეტლში“, გაუშვებს მათ „თეთრ რაშებს“, რომლებიც ასე უყვართ ჩვენ დიდებულ პოეტებს, გაჰყვება უკან და უძახის მათ: „onorate altisima poeta“...

მომხიბლავი სურათია, მაგრამ დროა გავათავოთ. ჩვენ გავეცანით „ახალი სკოლის“ ისტორიკოსს. საჭიროა ეხლა გავეცნოთ თვით ქურუმნი ამ სკოლისა, რომლებიც დასეირნობენ, შ. აფხაიძის უკვდავი სიტყვები რომ ვიხმაროთ, „გამარჯვებულის სამოსით“ და „ცისფერი ყანწების“ ყვავილით და ძვირფას ქვებს კინძავენ მაცდურ კრიალოსნებათ“. საჭიროა გავსინჯოთ ეს „ძვირფასი ქვები“ და დავათვალიეროთ „მაცდური კრიალოსნები“. მაგრამ ეს შემდეგ წერილში.

გლ. ბაქრაძე.

თემრიუკი დავიჭირეთ. იუზოვის სამხრეთ და დასავლეთით რამდენიმე სოფელი დავიჭირეთ. ლუგანსკის სამხრეთ აღმოსავლეთით 10 ვერ. წინ წავიწიეთ და რამოდენიმე სოფ. დავიჭირეთ კამენკა-ფროშიცის ხაზზე. აღმოსავლეთის ფრონტი. ურალის რაიონი: მტერმა დიდი ძალებით შემოგვიტია და მკაცრი ბრძოლების შემდეგ რამოდენიმე სოფელი დაიჭირა შიპოვის რაიონში, ურალსკის დასავლეთით 75 ვერსის სიშორეზე. ურალსკის ფრონტთან, სკოვორეშნიკის ბრძოლა გრძელდება. ბუგურუსლან-ბუგულმის რაიონი: ბრძოლა გრძელდება. ჩისტოპოლის მიმართულება: ჩისტოპოლის აღმოსავლეთით, მიუხედავათ მოწინააღმდეგის დიდი ძალების შემოტევისა, ჩვენი ჯარი პოზიციებს არ ანებებს მტერს. ელაბუგის რაიონი: ელაბუგიდან 80 ვერსზე ჩრდილო-აღმოსავლეთით რამოდენიმე სოფელი დავიჭირეთ.

ახალი ამბები

დღეს, საღამოს 6 საათ. შესდგება საქ. სოც. დემ. მუშ. პარტიის ცენტრალური კომიტეტის სხდომა.

◆ კავკასიის რესპუბლიკათა წარმომადგენლების კონფერენცია გაიხსნება დღეს. სომხეთის წარმომადგენლები საგარეო საქმეთა მინისტრი ტიგრანიანი და იუსტიციის—არუთიუნიანი უკვე ჩამოვიდნენ.

◆ **მძარცველების შეპყრობა.** 17 აპრილს, საღამოს 8 საათზე, მე-6 უბანში დაეცნენ შეიარაღებულნი სოფიო ზაგარიანს. მძარცველებმა წაართვეს ოქრო-ვერცხლი, და ფული 10,000 მან. მეტი. მიღებული ზომებით კომისარმა მე-6 უბნ. ვ. ჯაჯანაშვილმა შეიპყრო მძარცველები, რომელნიც აღმოჩნდნენ: ალექსი რუსტამოვი, ლევანი აბრამიძე და მიხეილ ოჰანჯანოვი, რომლებიც გამოტყდნენ და ნაძარცვი აღმოაჩინეს. ნივთი და ფული ჩაბარდა პატრონებს. დამნაშავენი ციხეში გაიგზავნენ.

◆ ახალქალაქიდან იტყობინებიან: „ახალქალაქის მაზრაში მცხოვრებთა მდგომარეობა აუწერელია. არავითარი სურსათი არ მოიპოვება. მცხოვრებლები ცხენების და ძაღლების ხორცით იკვებებიან. სჭამენ ბალახს, როგორც პირუტყვნი. მცხოვრებლებს განადგურება მოელით. ლტოლვილების მინდვრები არ არის დათესილი. არ მოგვეძებნება საკმაო თანხა, რომ დახმარება აღმოვუჩინოთ ხალხს. საჭიროა სასწრაფოთ იქნას მიღებული ზომები ხალხის დასახმარებლად. გამოგზავნეთ მომუშავეებიც“.

◆ **ექიმთა კავშირი.** თფილისში დაარსდა საქართველოს ექიმთა პროფესიონალური კავშირი. კავშირი მოქმედებას უკვე შეუდგა.

◆ **სახალხო გვარდიაში.** 5 აპრილს ნავთლუღში იმავე რაიონული სახალხო გვარდიის შტაბის მიერ გამართულ იქნა წარმოდგენა სოჩის ფრონტზე წასულ ნავთლუღის გვარდიელთა სასარგებლოთ. წმინდა შემოსავალი დარჩა 8,798 მან. 70 კ. წარმოდგენის ხელმძღვანელნი უღრმეს მადლობას სწირავენ ქ. ელო ანდრონიკაშვილს, რომელმაც უანგაროდ მიიღო მონაწილეობა, მადლობას უცხადებენ აგრეთვე ყველა მათ, ვინც თავიანთი შრომით თუ შემოწირულებით დახმარება აღმოუჩინა საღამოს.

◆ თელავის მაზრის კომისარი იტყობინება, რომ იქ შეუპყრიათ ახალი ბრბო ყაჩაღებისა 4 კაცისაგან შემდგარი.

◆ სახალხო მასწავლებლებს ერთბაშად ჯამაგირი 400 მ. 800 მანეთამდე გაუდიდეს.

◆ **ქართველ ექიმთა კრება.** შაბათს, 26 აპრილს მიხეილის საავადმყოფოში საღამოს 7 ნახ. საათზე მოხდება მორიგი კრება ქართველ ექიმთა და ბუნების მეტყველთა საზოგადოებისა.

◆ **გვამის პოვნა.** აპრილის 23 ს მილიციონერებმა მტკვარს პირას დამხრჩვალი ქალის გვამი იპოვნეს.

◆ მეოთხე რაიონული კოლექტივი თავის წევრთა საყურადღებოთ აცხადებს, რომ ყველა ის პირნი, რომელთაც მიმდინარე წელში არ განუახლებიათ ორგანიზაციის წევრობა—საწევრო გადასახადის შემოტანით ან და 5 მაისამდე არ შემოიტანენ, ხუთი მაისის შემდეგ ისინი ორგანიზაციიდან გარიცხულათ ჩაითვლებიან და მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პარტიულ ორგანოებში.

◆ **ლექციები.** დღეს, საღამოს 6 საათზე სახალხო უნივერსიტეტების ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები:

პირველი განყოფილება (ნაძალადევი) 1) ქ. ჩეგთარაძის „ისტორია“ 2) ალ. ორჯოლიანისა „ფსიქოლოგია“.

მეოთხე განყოფილება (ორთაჭალა) 1) მპ. ტურიაშვილისა „გიგიენა“ 2) ალ. ბაქრაძისა “სახელმწიფოს უფლება“ 3) ი. ირემაშვილისა „ეკონომიური საკითხები“.

მეექვსე განყოფილება (ერთობის უბანი) 1) გ. ნათაძისა „საქართველოს სახელმწიფოს წარმოშობის ძველესი ისტორია“, 2) სერ. ქარქოლიანის „პოლიტიკური ეკონომია“ 3) ეპ. ალშიბაია „ელექტრობა და ორთქლი“.

ხაზურთალო. 21 აპრილს, აქ გაიხსნა მუშათა კლუბი. კლუბი გახსნა მოკლე სიტყვით ვლ. ბაქრაძემ. ივ. გომართელმა წაიკითხა ლექცია თეატრის და ხელოვნების მნიშვნელობაზე. ლექციის შემდეგ წარმოითქვა მილოცვები სხვადასხვა ორგანიზაციებისაგან.

მილოცვების შემდეგ წარმოდგენილ იქნა „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ“. კლუბის გახსნას ხალხი ბლომათ დაესწრო.

კრებები

პარასკევს, სად. 6 საათზე, ბიუროს ბინაზე დანიშნულია მეოთხე რაიონული კოლექტივის სასწრაფო სხდომა. ამ სხდომაზე მოვალენი არიან დაესწრონ როგორც კოლექტივის ყველა წევრები, ისე უბანთა მოწვეული წარმომადგენლები.

— დღეს, 25 აპრილს, საღამოს 4 ს., ბიუროს ბინაზე შესდგება ახალგაზრდა მარქსისტთა მე-4 რაიონის კოლექტივის სასწრაფო სხდომა.

— კვირას, 27 აპრილს, დილის 10 საათზე, მუშათა კლუბის ბაღში (პლეხანოვის პრ., № 65), შესდგება სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებაში მოსამსახურეთა პროფესიონალური კავშირის წევრების წლიური საზოგადო კრება.

მთავრობაში

15 აპრილის სხდომაზე მთავრობამ დაადგინა:

— კანონ-პროექტი ოჯახის ერთადერთი მარჩენლის სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლების შესახებ მოწონებულ იქნას და დასტურისათვის გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— კანონ-პროექტი სამხედრო უწყების ხარისხოსანთა შესახებ დებულების ცვლილებისა და ოფიცერთა და სამოქალაქო მოხელეთა შემდეგ ხარისხზე აყვანისა მოწონებულ იქნას და დასტურისათვის გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

— სამხედრო სამინისტროს ადმინისტრატიულ განყოფილების უფროსის განკარგულებაში გადაიდოს სამხედრო კრედიტიდან 105,458 მ. ფულის სამხედრო პორტის პირად შემადგენლობის ჯამაგირებით დასაკმაყოფილებლად.

ქალის შრომა და დემობილიზაცია დასავლეთში

მსოფლიო ომმა თანდათან მოსპო მუშათა შრომის დაცვის კანონმდებლობა. თუ ომამდე არსებობდა კანონმდებლობა, რომლითაც დაცული იყო ქალების და მცირე წლოვანთა შრომის ექსპლოატაცია, ომმა ყველა ეს მოსპო და ამგვარათ დედაკაცის შრომა „გათანასწორებულ“ იქნა პროლეტარიატ მამაკაცის შრომასთან. დედაკაცს შეეძლება მიეცა ემუშავნა ღამეც თუ დღე, არამედ დამეგბიც, მოეკიდა ხელი ისეთ სამუშაოსთვის, რომელიც მოითხოვდა დიდ ფიზიკურ ენერგიის დახარჯვას. თუ რა აუტანელ პირობებში უხდებოდათ დედაკაცებს მუშაობა ამას მოწმობს გერმანიის ლითონზე მომუშავეთა პროფესიონალურ. საბჭოს საანკეტო ცნობები.

ამ ცნობებიდან ვტყობილობთ, რომ დედაკაცებს ყუმბარების დასამზადებელ ქარხანაში მუშაობა უხდებოდათ აუტანელ ტემპერატურაში. ქიმიურ მასალების დასამზადებელ ქარხნებში ხშირი იყო შემთხვევები მოწამვლისა. ორი-სამი კვირა ასეთ აუტანელ პირობებში მუშაობისა სრულიად სცვლიდა ადამიანს. მუშა ქალებს თმები უცვივდებოდათ და ხშირათ გული ერეოდათ. ასეთივე პირობებში უხდებოდათ მუშაობა რუსეთში. რაც შეეხება სამუშაო დღის სიხანგრძლივეს, ზემოხსენებულ ანკეტიდან ვტყობილობთ, რომ 40 პროცენტს უხდებოდა 12 საათი დღეში მუშაობა, 21 პროც. 11 საათი და მხოლოთ 8 პროცენტი მუშაობდა 10 საათს დღეში.

იყვნენ ისეთი კატეგორიები, რომლებსაც უხდებოდათ მუშაობა 17 საათი. ომმა გამოიწვია დიდი გადატრიალება, გამოიწვია დედაკაცთა გათანასწორება მუშა მამაკაცებთან.

გერმანიაში 1917 წ. საავათმყოფო კასებში წევრებათ ირიცხებოდნენ—დედაკაცები 3,978,457, მამაკაცები 3,962,625 1917 წ. თებერვალში ბერლინის საავათმყოფო კასაში წევრებს შემადგენლობა ასეთი იყო: მამაკაცები 466,469, დედაკაცები 721,180. ამგვარათ ათას წევრზე 606 დედაკაცი იყო. ასეთივე იყო მდგომარეობა საფრანგეთში, ინგლისში და რუსეთში.

ინგლისში 1917 წ. ივლისში თავდაცვის წარმოებებში მუშა ქალების რიცხვი უდრიდა 700,000. იმ დროს, როდესაც 1915 წელს დედაკაცების რიცხვი უდრიდა მხოლოდ 140,000.

გერმანიის და ინგლისის კაპიტალისტები უპირატესობას აძლევდენ დედაკაცის შრომას, რადგანაც უკანასკნელი შრომა იაფი იყო და მისი ექსპლოატაციაც უფრო ადვილად შესაძლებელი. მეწარმოებლების მიერ მოსყიდულ ჟურნალისტებმა გერმანიაში და ინგლისში ასტეხეს განგაში იმის შესახებ, რომ საჭიროა დედაკაცის შრომა ისეთივე ფარგლებში დარჩეს ომის შემდეგ, როგორც ომამდე იყო. მეორე მხრივ, გერმანიის პროფესიონალური საბჭოები დაადგენ იმ აზრს, რომ დემობილიზაციამ უნდა გამოიწვიოს მუშების მასიური დათხოვნა ქარხნებიდან.

ამგვარათ, თუ ომიდან დაბრუნებული ჯარისკაცები დაიჭერენ მუშა ქალების ადგილს, უკანასკნელთა მდგომარეობა უფრო გაუარესდება და სხვა უბედურებასთან ერთად გაძლიერდება პროსტიტუცია. საერთოდ დემობილიზაცია გამოიწვევს მუშა ქალების დემობილიზაციას და აქ კი საჭიროა უმუშევართა დაზღვევის კანონმდებლობა სასწრაფოთ გატარებულ იქნას. ინგლისის მუშათა კლასმა აიძულა თავისი მთავრობა ამ გზას დასდგომოდა და ასეთივე მოთხოვნილება უნდა წამოყენებულ იქნას ყველა ქვეყნის მუშათა კლასის მიერ.

პროლეტარმა ქალმა სისხლით მოიპოვა პროლეტარ მამაკაცთან გათანასწორება და მანვე უნდა მოიპოვოს, რომ სასწრაფოთ დაცულ იქნას დედაკაცის და მცირე წლოვანთა შრომა, სათანადო კანონმდებლობით („ნ. დ.“).

საბჭოთა რუსეთში

მუშათა კითხვა საბჭოთა რუსეთში.

ერთ-ერთი ბოლშევიკურ „პროფესიონალურ მოამბე“-ში შემდეგი სწერია:

„მოთხოვნილებანი ზედმეტი განსაზღვრული დროის და ნარდით მუშაობის მოსპობისათვის თანდათან პრაქტიკულ განხორციელებას ჰპოვებენ წარმოებაში. როგორც დროებითი აუცილებლობა შემოღებულ იქნა ნარდით მუშაობა კავშირების კონტროლების ქვეშ.

იმ წარმოებაში, რომლებმაც ნაციონალიზაციას უშვრება საბჭოთა მთავრობა, წესდება დეტალური სპეციალიზაცია მუშაობისა. ხდება დამატებითი დაჯილდოვება მუშებისა ჩქარი და კარგი საქონლის დამზადებისათვის. ბოლშევიკებმა პროფესიონალური მოძრაობის მთელ ფრონტზე დააყენეს კითხვა გარანტიისა მუშაობის განსაზღვრული რაოდენობისა განსაზღვრული სასყიდლის მიცემით.

„პროფ. მოამბე“ აღნიშნავს, თუ როგორ აიწია შრომის ნაყოფიერებამ მეტალოვის ქარხნის ცეხებში, ბრონლეის ქარხანაში, ვანსტილში და სხვა პროვინციალურ წარმოებებში. აღსანიშნავია, რომ ნარდი სამუშაოს ასაწევად ნორმის ზევით დაწესდა 50 პროცენტი. მაგრამ ამ ზომებს აფერხებს, როგორც სათბობი მასალის და ნედლეულობის სიმცირე და მოუწესრიგებლობა მაზრისა. რადგანაც მუშები ქალაქებიდან შესამჩნევად წავიდ-წამოვიდნენ, ჩრდილოეთის ქალაქები საჭიროებენ მუშა ხელს, როგორც შავ მუშებს, ისე კვალიფიციურს. სოფლებში წასვლა მუშებისა აიხსნება შიმშილით. შეუძლებელია მუშა ხელის ნაკლებობა შევსებულ იქნეს, რადგანაც ასეთი სასურსათო კრიზისია“.

რევიზიის შედეგი

მეხუთე ქვეითთა პოლკში.

სამხედრო უწყების დაწესებულებების რევიზია სწარმოებს მთავრობის მთავარ რწმუნებულის დამფუძნებელ კრების წევრის ლ. ჟღენტის მეთაურობით.

სარევიზიო კომისიამ უკვე მოახდინა რევიზია მე-5 ქვეითთა ჯარის პოლკის თფილისის სასურსათო მთავარ პირველ მაღაზიაში და ბორჯომის სასურსათო სადგომ მაღაზიაში.

როგორც გამოარკვია სარევიზიო კომისიამ, მე-5 ქვეითთა პოლკში შემდეგ ბოროტ-მოქმედებას ჰქონია ადგილი: ანგარიში არ უწარმოებიათ თავის დროზე. აპრილში არ ყოფილა დამზადებული თებერვლის შემოსავალ-გასავალი. თუმცა კანონის თანახმად ყოველი თვის ანგარიში უნდა წარედგინოთ კონტროლში არა უგვიანეს 15 რიცხვის შემდეგი თვისა. თუ რომელ გუნდს რამდენი სურსათი დახარჯვია, არ არის აღნიშნული სათანადო ქაღალდებში. ისეთი სურსათი, რომელიც დღეს ბაზარზე ძვირათ ფასობს მაგ. შაქარი, ჩაი, ერბო და სხვა მეტი დახარჯული აღმოჩნდა ვიდრე ეს იყო საჭირო.

ზემოხსენებულ პოლკში თებერვალში იმყოფებოდა სულ 10,104 კაცი და თანახმად ნორმისა შაქარი საჭირო იყო ერთ თვეში 21 ფუთი და 2 გირ., დაუხარჯნიათ 49 ფუთი და 11 გირ., ჩაი ზედმეტი დაუხარჯავთ 1 ფუთი და 10 გირ., ერბო ზედმეტი დახარჯულა 78 ფუთი და 4 გირ. ხორცი 176 ფუთი და 10 გირ. და სხვა.

კერძო პირისთვის რაზმს მიუყიდნია საქონელი ღირებული 21,847 მ. 50 კ. და ეს შემოსული ფული კი შემოსავლის დავთარში არ არის ნაჩვენები. რაზმს აქვს თავის საკუთარი პურის საცხობი, საწყობებიდან რაზმი ღებულობდა როგორც ხორბლის ფქვილს, ისე სიმინდისას. წიგნებში არ არის აღნიშნული რაოდენობა ამა თუ იმ ხარისხის ფქვილის. მხოლოდ აღნიშნულია რამდენი ფქვილი შემოვიდა. ადვილათ შესაძლებელი იყო ხორბლის ფქვილის მითვისება და დანაკლისის სიმინდის ფქვილით შევსება. რაზმს არ აქვს აღნიშნული თავის წიგნში ჯარისკაცების რაოდენობა. პოლკის ადიუტანტის განცხადებით საავათმყოფოში ყოფილა მოთავსებული 268 ჯარის კაცი. ზოგი მათგანი საავათმყოფოს მიერ განთავისუფლებული ყოფილა, ზოგი გაქცეულა და მხოლოდ 25 კაცი დაბრუნებულა პოლკში უკან. საავათმყოფოს უმთავრესი ექიმი არ ატყობინებდა პოლკს თუ რამდენი ავათმყოფი ჯარის კაცები იყვნენ საავათმყოფოში. პოლკი კი ჯამაგირებს უწერდა ჯარის კაცებს ორი თვის განმავლობაში.

სარევიზიო კომისიამ შეადგინა ოქმი და თავის დასკვნით წარუდგინა სამხედრო მინისტრს. მინისტრმა განიხილა რა ყველა მასალები, დაადგინა: მეხუთე პოლკის ინტენდანტი პოდპოლკოვნიკი ივანე შერვაშიძე და მოადგილე პოდპორუჩიკი ოქრომჭედლიშვილი, სამეურნეო ნაწილის საქმის მწარმოებელი მოხელე რაზელი, პოლკის კვარტირმეისტერი მოხელე უჯმაჯურიძე, მე-5 გუნდის უფროსი კაპიტანი მეხიშვილი და მე-6 გუნდის უფროსი პოდპორუჩიკი ნიჟარაძე გადაყენებულ იქნენ სამსახურიდან, გარდა ამისა, პოდპოლკოვნიკ შერვაშიძე და პოდპორუჩიკი ოქრომჭედლიშვილი დააპატიმრონ და საქმე მათ შესახებ გადაეცეს სამხედრო გამომძიებელს.

პოლკის უფროს გენერალ ბალუევს სასტიკი მითვალყურეობისათვის გამოეცხადა შენიშვნა.

საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელი

საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელის წესდება მთავრობამ დაამტკიცა ამა 1919 წლის 5 აპრილს. 1) არტელი ისახავს მიზნათ მისცეს როგორც მთავრობას, ისე სხვადასხვა საზოგადო და კერძო დაწესებულებათ მრავალგვარ თანამდებობის აღმასრულებელნი პირნი: ბუხგალტრები, მათი თანაშემწეები, მოანგარიშეები, ხაზინადრები, მოლარეები, ფულის გადამტანნი, საქონლის გამგენი და სხვანი. 2) არტელი მოქმედობს საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მზრუნველობის ქვეშ; 3) არტელი პასუხისმგებელია მრწმუნებლების წინაშე მთელი თავისი თანხებით და ქონებით და აგრეთვე თავისი წევრების ერთი-მეორის თავდებობით; 4) არტელში ჩაწერა შეუძლიათ ორივე სქესის პირთ, განურჩევლად ეროვნებისა, არა ნაკლებ ოცი წლისა და არა უმეტეს 40 წლისა (ორმოცი წლის ზევით წევრი შეიძლება მიღებულ იყოს საერთო კრილობის დადგენილებით). წევრი ფიზიკურათ უნაკლულო უნდა იყოს; 5) ყველა წევრმა უნდა იცოდეს სახელმწიფო ქართული ენა; 6) არტელში არ შეუძლიათ ჩაეწერონ წევრებათ ღირსება აყრილთ, ნამდვილ სამხედრო სამსახურში მყოფთ და არტელიდან გამორიცხულთ. 7) არტელში შესვლის მსურველი გამგეობას განცხადებას აძლევს და თან მეტრიკულ მოწმობასა და სხვა საბუთებს არტელის გამგეობის შეხედულებით ადგენს. 8) განცხადებაზე ხელს უნდა აწერდეს არტელის ორი წევრი, რომელნიც თავდებათ უდგებიან და პასუხს აგებენ მის სიპატიოსნესა, კეთილ საიმედოობასა და ფხიზელ ყოფაქცევაზე. 9) ახლად შესული არტელის წევრი ვალდებულია გადაიხადოს: 1) სათავდებო თანხა, 2) სარეზერვო თანხა, 3) საქრიალებელი თანხა და საინვენტარო თანხა. 10) ამა წლის 13 აპრილის დამფუძნებელმა საერთო კრილობამ განსაზღვრა თითოეული წევრის ორივე ზემოთ აღნიშნული თანხაში შემოსატანი 10,200 მანეთით. მათ შორის სათავდებო ფული თანხაში 8 000 მან., სარეზერვო თანხაში 1 000 მან. საქრიალებელ თანხაში 1.000 მანეთი და საინვენტარო თანხაში 200 მანეთი. 11) თუ წევრმა თავი დაანება, მას შეუძლია თავისი თანხები უკან დაიბრუნოს სათანადო ხარჯების გამოკლებით. წევრს არ უბრუნდება მხოლოდ საინვენტარო თანხა 200 მ. 12) თითოეული წევრი წ. [illegible] იღებს მონაწილეობას არტელის მოგებაში. 13) რომ წევრებს გაუადვილდეს ზემოთაღნიშნული 10,200 მანეთის შემოტანა, დამფუძნებელ წევრთა საერთო კრილობამ დაადგინა: წევრათ ჩარიცხვის დროს შემოტანილ იქნეს 3,200 მანეთი ნაღდათ, ხოლო დანარჩენი 7.000 მან. ნაწილ ნაწილათ სამსახურში მიღებულ ჯამაგირიდან 10%-ის შემოტანით. 14) თუ დაწესებულებას ან კერძო პირს სურს იყოლიოს რაიმე თანამდებობაზე არტელის წევრი, ის დამოუკიდებლად განცხადებით მიმართავს არტელის გამგეობას. ითვალისწინებენ რა მრწმუნებელთა საერთო პირობებს, გამგეობას და სათათბირო სარევიზიო კომისიას გამოაქვთ შესაფერი დასკვნა; შემდეგ გამგეობა აძლევს მრწმუნებელს ხელშეკრულობას, რომელშიაც აღნიშნულია, რომ არტელი კისრულობს განსაზღვრულ დავალებათა და საქმეთა შესრულებას სათანადო პასუხისმგებლობის ქვეშ. 15) რომ არტელიდან გაგზავნილნი პირნი საქმის ნამდვილი მცოდნენი იყვნენ და თავის მოვალეობას პირნათლად ასრულებდნენ, ამისთვის არტელთან არსდება საკომერციო კურსები. ლექტორები ლექციას იკითხავენ ქართულ ენაზე.

არტელის გამგეობა.

პროფესიონალურ კავშირთა წარმომ. ყრილობა

შრომის სამინისტროს მოხსენება.

(გაგრძელება)

ავათმყოფობის დროს დაზღვევა.

ამის მთავარი მიზეზი იყო, ცხადია, საერთო ეკონომიური მდგომარეობა და ბევრ საწარმოებლებში მუშაობის შეწყვეტა, მაგრამ არ შეიძლება არ აღვნიშნოთ თვით მუშების ანარქიული და შეუგნებელი მოქმედება რომელსაც ადგილი ჰქონდა და რომელნიც არღვევდენ თავიანთ ორგანიზაციებს. ასეთი შემთხვევა იყო, მაგალითად, 1918 წლის დასაწყისში, როცა მუშათა ერთმა ჯგუფმა ავჭალაში დაადგინეს გამოტანა საავათმყოფო კასის მთელი ქონებისა და კაპიტალის გაყოფის შესახებ. ასეთი ტენდენცია, მართალია, ყველგან არ იყო, მაგრამ ხშირად იჩენდა თავს.

როგორც არ უნდა ყოფილიყო, სამინისტრომ საავათმყოფო კასები არასასურველ მდგომარეობაში დაინახა და შეუდგა ენერგიულ მუშაობას საავათმყოფო კასების შექმნისას. ეს მუშაობა შეასრულეს შრომის კომისრებმა და ახლა საავათმყოფო კასები არსებობენ და ნორმალურათ მოქმედებენ თფილისში, ქუთაისში და სოხუმში. სამინისტრო მათ ენერგიულ დახმარებას უწევს, გადასახადის აძულებითი შეგროვებაშიც კი, მიღებული იყო მთელი რიგი ზომებისა, საავათმყოფო კასების გაერთიანების, მათი ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ და რომ მათ მისცემოდათ უფლება თავიანთ თავზე მიეღოთ, სანატორიისა და ამბულატორიის გახსნის საშუალებით, საექიმო დახმარება. უნდა ვიფიქროთ, რომ ეს გაერთიანება თუმცა, რასაკვირველია, მცირე სახსრით მოწყობილი იქნება და ზოგიერთი დასახული გეგმებიდან რეალურად განხორციელებული იქნება.

უბედურ შემთხვევების გამო დაზღვევა.

მუშების უბედური შემთხვევების გამო დაზღვევა უკანასკნელ დრომდე რამოდენიმეთ ფორმალური იყო. მუშები კანონით დაზღვეულნი იყვნენ ამიერ-კავკასიის სამოქალაქო დამზღვევ ამხანაგობაში, რომელიც ამიერ-კავკასიაში მოქმედებდა. ამ ამხანაგობის გამგეობა, რომელიც მოსკოვში იმყოფებოდა, შექმნილ პოლიტიკური მდგომარეობის გამო და რადგანაც უბნებიდან კანონიერად არ შემოდიოდა დასაზღვევი გადასახადები, შეწყვიტა არამც თუ ახალი პენსიების დანიშვნა, არამედ ძველის გადახდაც. ამის გამო სამინისტრომ აუცილებლად საჭიროდ დაინახა დამოუკიდებელ რესპუბლიკის დამზღვევ ამხანაგობის საკუთრივ დაარსება; მაგრამ ვინაიდან ტექნიკურად ვერ მოაწყობდა და დამარცხებულ მუშათა მდგომარეობა კი უკვე მძიმე იყო, სამინისტრომ გადაწყვიტა მთავრობასთან თანხმობით, დროებით თვითონ მიიღოს დამზღვევ ამხანაგობის ყველა ფუნქციები. ამ რიგათ, ეხლა უბედური შემთხვევების გამო მუშების დაზღვევა ხორციელდება 1912 წლის კანონის ფარგლებში, რომლის გადაკეთება განზრახულია ახლო მომავალში. დაზღვევის ახალი წესების მოწყობა შექმნილი იქნებიან არა როგორც მწარმოებელთა ორგანიზაციები, როგორიც არიან, მაგალითად დამზღვევი ამხანაგობა ძველი კანონით, არამედ იმ პირობების თანახმად, რომელნიც ნამდვილად უზრუნველყოფენ მუშების დაზღვევას. ამასთანავე მუშებს მიეცემათ, შესაფერი ადგილები და გავლენა დამზღვევ ორგანიზაციაში საქმის საწარმოებლად.

შრომის დაცვა.

მცირეწლოვანთა, დედაკაცთა და ღამის მუშაობას საკმარისად იცავს კანონი (დეკრეტი 8 საათის სამუშაო დღის შესახებ) მაგრამ შრომის სამინისტრო არ უკმაყოფილდებოდა იმით, რომ კანონი არსებობს, არამედ—მოითხოვდა მის აუცილებელ შესრულებას ცხოვრებაში. შრომის კომისრების მოღვაწეობა ამ მხრივ მეტად ენერგიული იყო და შესაფერი ნაყოფიც გამოიღო, რადგანაც კანონის დარღვევის შემთხვევები თითქმის მოისპო. კანონის დარღვევასთან ბრძოლის დროს კომისრები მიმართავდნენ სხვადასხვა საშუალებებს. ასე, მაგალითად, ქუთაისის შრომის კომისარმა დაატყო რა, რომ პასუხისგებაში მიცემა მიზანს ვერ აღწევდა, დაარსა შერეული კომისია პარიტეტულ პრინციპზე, რომელსაც ყური უნდა ეგდო კანონის ასრულებისათვის. ამ კომისიის მუშაობის შედეგი შესანიშნავი გამოდგა.

ქალთა შრომა გამოკვლეულ იქნა ღვინით საჭურჭლოებში, სადაც ბევრი ქალები მუშაობენ. კომისიის მიერ დაარსებულ შერეულ კომისიაში მონაწილეობდა, როგორც ექსპერტი, ექიმი—ქალი; ამ გამოკვლევის შედეგი ის იყო, რომ ქალების მუშაობის პირობები შესამჩნევად გაუმჯობესდნენ.

გამოკვლეულ იქნა აგრეთვე ღამის მუშაობა თფილისის ტრამვაიში, რამაც შეძლება მოგვცა დაგვეწესებინა ღამის „სმენათა“ ხანგრძლივობა.

მცირეწლოვანთა შრომის დასაცავად [illegible] გარდა მიღებულ იქნა ზომები, უმთავრესად პროფესიონალური კავშირთა და ქალაქის თვითმართველობის დახმარებით, რომ გაეხსნა სკოლები მცირეწლოვან მუშებისათვის. ასეთი სკოლები არსებობენ თფილისში, ქუთაისში. კომისრები და სამინისტროს რწმუნებულები სრულიად იცავენ შრომის იმ დარგებს, რომლებიც კანონის განსაკუთრებული მფარველობის ქვეშ იმყოფებიან.

კონფლიქტები.

მუშებსა და დამქირავებელთა ურთიერთ დამოკიდებულება საკმაო მასალას იძლეოდა კონფლიქტებისათვის, რომ ყოველდღე შედარებით ნორმალური პირობები წარმოებისა და ცხოვრების ნორმალური მიმდინარეობა. მით უმეტეს ხდებოდა კონფლიქტები წარმოების ქაოტიურ მდგომარეობაში, რადგანაც ცხოვრება მეტად გართულდებოდა ხოლმე დაუწყნარებელი პოლიტიკური და ეკონომიური ფინანსიური კრიზისებით, რასაც ადგილი ჰქონდა სამინისტროს არსებობის ხანაში. საჭირო იყო ყველა ზომების მიღება და დიდი ენერგიის დახარჯვა, რომ შესწავლილიყო კონფლიქტები, რომლებითა რიცხვი მეტად მნიშვნელოვანი იყო, და საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მინისტრის ჩარევა კონფლიქტში უმეტეს შემთხვევებში დადებით შედეგებს იძლეოდა.

ნება მომეცით, ამხანაგებო, მოგახსენოთ ის პრინციპიალური პოზიცია, რომელზედაც იდგა სამინისტრო ამ კონფლიქტების დროს. ამ პოზიციაში თქვენ დაინახავთ სამინისტროს მთელ პროლეტარულ პოლიტიკას და ტაქტიკას. ჩვენ არასოდეს არ ვუყურებდით გაფიცვას, როგორც თვით მიზანს. ამიტომ ძველი, წლების რეჟიმის დროსაც კი მუშები მაშინ მიმართავდნენ ხოლმე გაფიცვას, როცა სხვა საშუალებებით ვერ აღწევდნენ დასახულ მიზანს. გაფიცვა, როგორც ყველაზე რადიკალური ზომა, ორივე მხრივ მჭრელი იარაღია. ის შესაძლებელია ხშირად მუშათა გამარჯვებით არ დამთავრდეს და ამიტომ ის არის ერთგვარი რისკი მუშათა ორგანიზაციისათვის. აშკარა ბრძოლის პროცესში ხანდახან შესაძლებელია დაეკარგოთ იმის ნაწილიც კი, რაც აქვთ კავშირებს. წაგებულ გაფიცვას მოაქვს სრული დემორალიზაცია გაუმაგრებელ მუშათა ორგანიზაციისათვის და დიდი მატერიალური დანაკლისი როგორც გაფიცვის მონაწილეთათვის, ისე კავშირის კასისათვის. და თუ მშვიდობიანის გზით შესაძლებელი იქნება შეთანხმება დამქირავებლებთან, ჩვენთვის მისაღებ პირობებში, მაშინ ჩვენთვის ზედმეტია გაფიცვა, რადგანაც წარმოების შეჩერებას მოსდევს და შეწუხებული მუშები მუდამ ხვდებიან არასასურველ მდგომარეობაში. ჩვენ ამაში ვხედავდით ხელოვნურ დაბრკოლების შექმნას, რომელიც ხელს უშლიდა წარმოებას საშუალოდ მუშაობაში. ჩვენებურ პირობებში ეს უკანასკნელი მოტივი მეტად საყურადღებოა და შეიძლება ითქვას, რომ უპირველესი მნიშვნელობა აქვს. უნდა ვსთქვათ, ამხანაგებო, რომ გახანგრძლივებული სიღარიბე და უზრუნველყოფილობა მუშათა კლასისა არის შედეგი ეკონომიური დაქვეითებისა და არევ-დარევისა, რომელიც თანდათან იზრდება, და მასასადამე ნაციონალური სიმდიდრეც მცირდება. დღითი-დღე საქონლის დამზადება მცირდება და მით მცირდება მცხოვრებთა მინიმალური საჭიროებების დაკმაყოფილებაც. ამიტომ ეკონომიური და საფინანსო ძალთა ამგვარი მდგომარეობის დროს ჩვენი სამინისტრო მუდამ იმის ფიქრში იყო და თავის ძალღონეს იმას ახმარებდა, რომ არც ერთი წარმოება არც ერთ დღეს და არც ერთ წამსაც კი არ გაჩერებულიყო და არ შეეწყვიტა თავის ნორმალური მუშაობა. ამიტომ ჩვენ მუშების წინაშე მუდამ ვაყენებდით ერთ მეტად გარკვეულ და აშკარა ხაზს: თავი შეეკავებინათ გაფიცვებისაგან და ეხმარათ ყოველგვარი ზომები, რომ კითხვა მშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლობიანი გზით მოგვარებულიყო და თუ ეს არ მოხერხდებოდა უკიდურეს შემთხვევაში ემზადა ეს უკიდურესი ზომა —გაფიცვა.

რომ შრომის სამინისტრო არ უარყოფდა გაფიცვას, როგორც ბრძოლის აუცილებელ საშუალებას სათანადო პირობებში, ეს ჩანს იმ პოზიციისაგან, რომელიც მან დაიკავა ლითონზე მომუშავეთა კავშირსა და ფაბრიკანტებსა და მექარხნეების საზოგადოების შორის ამტყდარ კონფლიქტში. ქ. თფილისის ლითონზე მომუშავეთა კავშირმა წაუყენა ფაბრიკანტ. და მექარხ. საზოგადოებას მოთხოვნილება კოლექტიური ხელშეკრულობის დასადებათ. მწარმოებლებმა უარი სთქვეს აღნიშნულ კოლექტივზე და წინადადება მისცეს კავშირს დადოთ ხელშეკრულება თითო მწარმოებლებთან ცალ-ცალკე, ლითონზე მომუშავეთა კავშირი არ დაჰყაბულდა ამას და დანიშნული ვადის გასვლისთანავე გამოაცხადა გაფიცვა. შრომის სამინისტრო ამ საკითხში მთლიანად მიუმხრო კავშირს და ჩასთვალა გაფიცვა მიზან შეწონილად, რადგანაც თუ-კი ეს გაფიცვა შეაჩერებდა მუშაობას მრავალ ალაგას, რაც მრეწველობის ეხლანდელ მდგომარეობაში მეტად საზიანო მოვლენა იყო, მაგრამ ხელშეკრულობის არ დადება უფრო საზარალო მოვლენად მიაჩნდა არა თუ მარტო მუშებისათვის, არამედ მრეწველობის ნორმალური განვითარებისათვის. კოლექტიური ხელშეკრულება თუ ჩამოვარდებოდა—ეს იქნებოდა გარანტია წარმოების ნორმალური მსვლელობისა განსაზღვრულ ხანში, წინააღმდეგ კი ჰქონდა პირობებს ხშირი კონფლიქტებისა და მუშაობის შეჩერებისა. შრომის სამინისტრომ ამ მხრივ გავლენა მოახდინა ფაბრიკანტებსა და მექარხნეების საზოგადოებაზე და უკანასკნელნი კი დათანხმდნენ ამ პრინციპიალურ კითხვაში დაეთმოთ ლითონზე მომუშავეებისათვის და დადოთ კოლექტიური ხელშეკრულება.

ასეთივე პრინციპიალური ხასიათი ჰქონდა იმ კონფლიქტს, რომელიც ატყდა გასული წლის ოქტომბერში საბანკო დაწესებულებათა მოსამსახურეებსა და ბანკის კომიტეტს შორის. დავა ატყდა იმის გამო, რომ ბანკების საბჭოს არ სურდა ეცნო 14 იანვრის დეკრეტი მიღება-დათხოვნის შესახებ. ბანკებში მოსამსახურეთა კავშირმა გადასწყვიტა გაფიცვის გამოცხადება. შრომის სამინისტრო პრინციპიალურად დადგა, რასაკვირველია, კავშირის თვალსაზრისზე, მაგრამ მოითხოვა გაფიცვის შეწყვეტა და მშვიდობიანი გზით გადაჭრა ამ საკითხისა, მით უმეტეს, რომ ეს კითხვა ემყარებოდა კანონის მუხლს. შრომის სამინისტროს წინადადებით გაფიცვა შეწყვეტილ იქნა და ეს კითხვა მთავრობის მიერ დადებითად გადასწყდა. შრომის სამინისტროს არსებობის ხანაში მოხდა მრავალი კონფლიქტები დამქირავებელთა და მუშებს შორის. და უნდა ითქვას, რომ ხშირად მუშები აყენენ ხოლმე ყალბ პოზიციას და ყოველთვის არ აწარმოებდნენ წყნარ და მოფიქრებულ ტაქტიკას. ამ შემთხვევებში შრომის სამინისტრო პირდაპირ და აშკარად გამოდიოდა წინააღმდეგ. უჩვენებს რა მუშათა ზოგიერთ ჯგუფებს და კავშირებს მათ შეცდომებს და ატყობინებს რა მათ არ გადასდგან მოუფიქრებელი ნაბიჯები, სამინისტრო სცდილობს მისცეს ყოველ გაფიცვას ორგანიზაც. და კლასიური ხასიათი. ამას შრომის სამინისტრო სთვლიდა და სთვლის თავის წმინდა მოვალეობად. ბევრ გაფიცვებს არ ჰქონდა პრინციპიალური ხასიათი და გამოდიოდნენ ეკონომიური მოთხოვნილებიდან, რომლებიც ხანდახან დაუსაბუთებელნი იყვნენ. ზოგიერთი მათგანი კი პირდაპირ გაუკუღმართი იყო გამოწვეული. ამათში აღსანიშნავ მარგანეცის დამტვირთავების გაფიცვას ფოთში. მათ წაუყენეს თავის ხაზეინებს, რომლებიც ქუთაისში სცხოვრობდენ, მოთხოვნილება ხელფასის მომატების შესახებ და მისცეს ვადა სამი დღე. ხაზეინები შემთხვევით თფილისში ყოფილიყვნენ და როცა დეპეშა მტვირთავების მოთხოვნილების შესახებ ქუთაისიდან თფილისში გადმოსცეს, სამი დღე უკვე გასულიყო და მტვირთავები გაფიცნენ პასუხის მოულოდნელად. სამინისტრომ, არ შევიდა რა მოთხოვნილობათა არსებითად გარჩევაში, აღიარა, რომ მუშების მიერ მიცემული ვადა არ არის საკმარისი, რომ არ არის ამოწურული ყველა საშუალებანი მშვიდობიანი გზით კითხვის გადაწყვეტისა და ამიტომ ჯერ საბუთები არ არის გაფიცვისა.

(შემდეგი იქნება).

ს.-დემ. პარტიაში

თფილისი. 17 აპრილს შედგა ს. ს. დ. მ. პარტიის მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება. განსახილველი იყო კითხვები: მოხსენება, პარტიული და კულტურული მუშაობა, საფეიროვის ქარხნის შესახებ, დროშა რაიონისათვის, და განცხადებები. კომ. წარმომადგენელი ამცნობს კრებას, რომ კომისიამ ამ თავიდანვე მიიღო ზომები საერთაშორისო მუშათა კლასის დღესასწაულის —პირველ მაისს გრანდიოზული ხასიათი მისცეს და შესაფერისად ჩაატაროს იგი. მოუწოდებს ამხანაგებს მიიღონ მხურვალე მონაწილეობა ამ დღესასწაულში.

ვინაიდან პარტიული მუშაობა სოციალ დემოკრატიულ ორგანიზაციების მთავარი საკითხია და იგი ამაში ხედავს თავის სიძლიერეს და რომ ასეთი მუშაობა წარმოშობს ისეთ საზოგადოებრივ ორგანოს, რომლის ხელ კლდეებზე დაიმსხვრევა ყოველგვარი ბოროტმოქმედება, კრება ადგენს: დღიდანვე უნდა გაცხოველდეს და გაძლიერდეს ფართო მასის ყოველმხრივი კულტურული მუშაობა, რომელიც მკვიდრ საფუძველს ჩაუყრის დემოკრატიულ თავისუფლებას და მის ეკონომიურ და პოლიტიკურ ძლიერებას.

კრებამ აირჩია სამი პირისაგან შემდგარი კომისია, რომელმაც უნდა შეეცადოს ცენტრალური პარტიულ კლუბის მოწყობას.

ვინაიდან საფეიროვის ფაბრიკა დღემდისაც არ გზავნის თავის წარმომადგენელს კოლექტივში, კრება ხელახლა ავალებს კოლექტივის მდივანს, მიიღოს სათანადო ზომები, რათა ხსენებულმა ფაბრიკამ დროზე გამოგზავნოს თავისი წარმომადგენელი. დროშის შესახებ კრება ადგენს, იქნას მიღებული ყოველივე ზომები, რომ რაიონმა შეიძინოს თავისი საკუთარი დროშა.

ჩუღურეთის მეორე კოლექტივის წარმომადგენლის განცხადებით ამ უბანში მათი ხელმძღვანელობით საუბნო კრებას აურჩევია სხვადასხვა კომისიები, რომლებიც თვალყურს ადევნებენ უბანში საერთო წესიერებას, სანიტარულ მდგომარეობას და სხვ. კრება მათ მიერ ამ გზით გადადგმულ ნაბიჯებს იწონებს და სთხოვს მეორე კოლექტივს ენერგიულათ განაგრძოს ამ ნიადაგზე მუშაობა, იგივე წარმომადგენელი ითხოვს, კოლექტივმა დახმარება აღმოუჩინოს ჩუღურეთში—ნ. ჟორდანიას სახელობაზე არსებულ ბიბლიოთეკა-სამკითხველოს, კრება ავალებს—წარმომადგენელს, წარმოადგინოს რაიონში ხსენებული სამკითხველოს მიმდინარე წლის ხარჯთაღრიცხვა, რის შემდეგ კოლექტივი გამოიღებს საჭირო თანხას.

თედ. ხუხუნაიშვილი.

პროვინცია

ნიგოითი (გურია). 18 აპრილს სოფ. ნიგოითში შედგა მრავალ-რიცხოვანი კრება. დღის წესრიგში მთავარ საკითხად იდგა კითხვა წვრილ საერობო ერთეულის გამოყოფის შესახებ. ხსენებულ კითხვის შესახებ ჯერ კიდევ ერთი კვირით ადრე გაუკეთა მოხსენება საზოგადოებას ოზურგეთის სამაზრო ერობის მიერ არჩეულ წვრილ საერობო ერთეულების მომწყობ კომისიის თავმჯდომარემ არსენ წითლიძემ. ოზურგეთის სამაზრო ერობამ უარჰყო მთელს მაზრაში წვრილი საერობო ერთეულისა და მიიღო პრინციპი გადაჯგუფებისა, ანუ ძველ ერთეულებისა, ე. ი. კულტურულ ეკონომიური ცენტრებისა. ნიგოითის საზოგადოების კრებამ ამ საგანზე ხანგრძლივათ ითათბირა და მთლიან უარჰყო სამაზრო ერობის სქემა.

დაშლა-შეერთება არსებულ ცენტრისა და ამათ ხარჯზედ შექმნა გამოჭრილ თარგით სხვა დიდი ცენტრისა მიუღებლად და დაუშვებლად დაინახა ნიგოითის საზოგადოების კრებამ და საერობო წვრილი ერთეული გამოსჭრა ნიგოითის საზოგადოების ფარგლებში, თუმცა კარგათაც გაითვალისწინა ერთეულის სამოქმედო ველი და დღევანდელი ვიწრო ეკონომიური პირობები.

საზოგადოების კრება კარებს არ უკეტავს მაღლობელ მეზობელ სოფლებს, თუ ისინი გამოსთქვამენ სურვილს ხსენებულ საზოგადოების შემოერთებაზე და უპირატესობით შეურიგდებიან არსებულ ნიგოითის საზ. ცენტრს.

დასასრულ არჩეულ იქმნა საარჩევნო კომისია ხუთი კაცისაგან შემდგარი. კომისიაში არჩეულ იქნენ: გ. ალმაზაია, ერ. კახაძე, სტ. ნიკოლაიშვილი.

ნიგოითის საზოგადოებაში ძლიერ გამწვავებულია ხიზ. ფუძის მიწის საკითხი. მოდიან გურიის საზოგადოებების მცხოვრებნი მიწისთვის და ყველას, ცხადია, ვერ დააკმაყოფილებენ ადგილობრივი სახნავ-სათესი მიწები. გამწვავებულ საკითხს დროზე მიაქცია ადგილობრივმა ორგანიზაციამ ყურადღება და საქმის მოსაგვარებლად მოიწვია სამაზრო ერობის გამგეობის წევრი და მიწად მოქმედ. კომიტეტის თავმჯდომარე, რომლებმაც საზოგადოების თანხმობით აირჩია მიწადმოქმედი კომისია ლანჩხუთის უბნის კომისარის ჩხაიძის თავმჯდომარეობით. კომისიამ დაასრულა მუშაობა კიდეც და საქმეც ერთგვარად მოაწესრიგა. იმედია მცხოვრებნი კომისიის გადაწყვეტილებას მოიყვანენ სისრულეში და მიწების განაწილების დროს თავიანთ მოქმედებას საფუძვლად დაუდებენ სამართლიანობას.

ვერ დავტოვებთ აგრეთვე უყურადღებოთ ნიგოითში ადგილობრივ ინტელიგენციის მეცადინეობით დაარსებულ კულტურულ-განმანათლებელ წრეს, რომელიც საზოგადოების მცხოვრებთა საკეთილდღეოთ ისახავს ფართო მიზნებს. რასაკვირველია ჯერ აღნიშნულ წრის შესახებ არა ითქმის რა, ვინაიდგან ის ახლა იწყებს ფრთების ასხმას. წრის დაარსებას ადგილობრივი საზოგადოება მეტის კმაყოფილებით შეხვდა, ჩვენც ვესურვებთ ამ წრეს და მის გამგეობას მიაღწიოს მიზნებისათვის და გამგეობის საზოგადოების კმაყოფილება.

ამ ბოლო დროს საზოგადოების სოფლებში ქურდობა საგრძნობლად გახშირდა. ადგილობრივი ადმინისტრაციული მექანიზმი სავსებით აშლილია. ერობის განკარგულებით დათხოვნილია მილიციონერები და ახალნი [illegible] გადაბარების დროს. ასეთი ნაბიჯი ერობის ჩვენდა სავალალოდ დიდათ შემცდარია, ვინაიდგან მათ ჯერ ახალი არ შეუქმნიათ რა. ამ დროის ასეთი უპატრონობა მოუწოდებელი დანაშაულობაა და საქმ. წვრილი ერთეულის, როგორც ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოს, შექმნა-ჩამოყალიბება სავსებით არ მომხდარა და ის საზოგადოებას არ დაპატრონებია, საჭიროა საზოგადოებრივ ძალთა მობილიზაცია და ყოველ ნაბიჯის აგრესიულ ნაბიჯების დროზედ ალაგება.

სტ. ნიკოლაიშვილი.

ლტოლვილთათვის

მოწოდება

ბეგ-ხან-აღალარების და ოსმალეთის აგენტ-ურდოების მიერ გამოწვეულმა ამბოხებამ მესხეთ-ჯავახეთში ლეგანიფასთან გაასწორა საწყალი მშრომელი გლეხკაცობა. მრავალი წლის განმავლობაში ჭირის ოფლით, წვა-დაგვით აგებული სახლკარი ელვის სისწრაფით შთანთქა უღმობელმა ცეცხლის ენებმა, მისი სარჩო საბადებელი, სახნავ სათესი, უკანასკნელი ბეგრის პერანგიც კი ვერ მოასწრეს გამოეტანათ და ამხანაგ მწარე ცრემლებით ტიტველ-შიშველნი მესხეთ ჯავახეთის ყინვა-თოვლში გამოფენილნენ თავიანთ არემარეს და მოაწყდნენ ბორჯომს, მის მიდამოებს და დაბინავდნენ მთელს ხეობაში ლეკმა პურის ნატროულნი, ადამის სამოსელში გამოხვეულნი, ავადმყოფობისაგან პირ-ხახა გამშრალნი..

აი ამ საბრალო-ხალხის ტანჯვა-ვაების შესამსუბუქებლად საჭ. შინაგ. განკარგულებით და ლტოლვილთა ცენტრალურ კომიტეტის წევრის ბ. ბუკშტეინის თანადასწრებით ბორჯომში შედგა ინტერნაციონალური საგანგებო ლტოლვ. დამხ. კომიტ., რომელმაც ფრიად დიდი და საპატიო ვალდებულება აიღო კისერზე და იმედი აქვს პირნათლად შეასრულებს დაკისრებულ მძიმე მოვალეობას, თუ მცხოვრებნი, განურჩევლად ეროვნებისა, საზოგადო და კულტურული დაწესებ. გაუწევენ მას ხელს და აღმოუჩენენ ნივთიერ ანუ ზნეობრივ დახმარებას.

ამიტომ ბორჯომის საგ. ლტოლვ. დამხ. კომიტ. მოუწოდებს რა ამა მოწოდებით, უმორჩილესათ გთხოვთ ყველას გამოიღოთ მათ სასარგებლოთ თქვენი წვლილი, რითაც გვექნება საშუალება, მესხეთ-ჯავახეთის გადმოხვეწილ მშრომელ დემოკრატიას მიაწოდოთ ცოდო მშრალის ნატეხი მაინც, რომ შემდეგში უღმობელმა შიმშილმა არ დახოცოს.

ნივთიერი თუ სხვა გვარი დახმარებისათვის მისამართი: ქ. ბორჯომი თავმჯდომ. ქ. დ. ჯაფარიძეს.

P. S. ყოველი შემოწ. გამოცხადებულ იქნება გაზეთებში.

ლტოლვ. დამხ. კომიტეტი.

წერილი რედ. მიმართ

„ერთობის" № 67 ცნობა ეხებოდა ხაშურში ინვალიდების მატარებლის „გაძარცვას" და ამ საქმეში ჩემს და ჩემი თანამოსამსახურეების მონაწილეობას. ჯერ ერთი, საქმე ეხებოდა არა გაცარცვა გაძარცვას, როგორც ეს მოხსენებულია, არამედ—ინვალიდებისაგან საქონლის ყიდვას და იმაც იმისაგან, ვისაც ეს საქონელი ეკუთვნოდა. აღმოჩნდა ეს საქონელი ვიღაც ლ—ძეს, რომელმაც ზოგიერთი პირების შემწეობით რკ. გზის მილიციის ზოგიერთი მოხელეები ჩარია შიგ, რომ ამ გზით უფრო მოხერხებულად გამოეძვრინა, როდესაც პროკურორს ეს საქმე წარუდგინეს, მან განაცხადა, რომ ეჭვიანი დებას ვერ პოულობს ჩვენს წინააღმდეგ და საქმე უკან დააბრუნებინა დაწვრილებით ამ ცილისწამების წინაარსს გამოძიება გამოარკვევს. მე და ჩემი თანამოსამსახურეები კი გვეგანთავისუფლებს პასუხისმგებლობისაგან, მაგრამ რას ეუბნებიან თავიანთ სინდისს ისინი, რომლებიც ამ ნიადაგზე პირად ანგარიშს ასწორებდენ ჩვენთან.

ხაშურ-ბორჯომის რკ. გზის მილიციის უფროსი არონ იმნაიშვილი.

ცნობები

ჩემი ძმა შტაბს-კაპიტანი გრიგოლ ვასილის ძე მილორავა მსახურებდა 288 ქვეითთა ჰოლდოურის პოლკში რუმინეთის ფრონტზე. 1917 წ. ივლისის დამლევში გერმანიის ჯარის შემოტევის შემდეგ დაიკარგა უგზო უკვლოდ და მას აქეთ არაფერი ვიცი. ვთხოვ ვინც იცის რაიმე მაცნობოს შემდეგი მისამართით: ტიფლისის ფოსტა-ტელეგრაფის განყოფილება, ივანე მილორავას.

განცხადებანი

ლია წერილი

თედო ლომაძეს და ნიკოლა ტომარაძეს.

თქვენი უკანონო საქციელის გამო, გიწვევთ სამედიატორო სასამართლოში. ვადას გაძლევთ სამ დღეს, დაასახელეთ თქვენი მედიატორები. ჩემის მხრით ვასახელებ ამ. ბესო ლეგავას და ნესტორ ნაჩაიძეს. საქმე უნდა გაირჩეს ერთ კვირაში. მტყუანმა მხარემ თითოეულმა გადაიხადოს თითო თუმანი, ოზურ. სამკითხველოს სასარგებლოდ. გადაწყვეტილება გაზეთში გამოცხადდეს.

(1—1) ვასილ კირვალიძე.

საჭიროა ბინა

პირობები კარგია, მსურველთ შეუძლიათ მიმართონ სასტუმრო „ალექსანდროვში", ხანზედის ქ. № 5, ყოველ დროს. (2—1)

იყიდება სახლი

9 ოთახით, 2 ღუმელით, 2 ბუხრით და 105 კვად. საჟენი მიწით. იკითხეთ ანდრეევის ქ. № 116. სახლის პატრონი გლ. ჯიბუა. (2—1)

გაიხსნილია

კერძო სამკურნალო

მუდმივი საწოლებით

მიიღება ყოველგვარი სნეულებიანი ავათმყოფნი.

მიხეილის პრ. № 141 (კინემატოგრაფ „აპოლოს" გვერდით) ტელეფონი 5—97, ავათმყოფების მიღება სპეციალისტ ექიმებისაგან ყოველ დღე დილის 9 საათ. საღამოს 7 საათამდე. ოპერაცია, კონსულტაცია „914" და „606" შეხაპუნება, მასაჟი, ყვავილის აცრა. სტაციონარული ავათმყოფები მიიღებიან სრულ პანსიონით.

გაიხსნა თვალის საავადმყოფო

(მუდმივი საწოლებით)

ყოფილი ასისტენტი უნივერსიტ. თვალ. კლინიკისა ვენაში და პარიზში. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 4—7 ნახ. საათამდე მიხეილის პროსპ. № 141, (კინემატოგრაფ „აპოლოს" ახლო). მძიმე ავათმყოფები და საოპერაციოები მიიღებიან სრულ პანსიონზე. ტელ. 5—97.

მედიცინის დოქტორი
ბერლინის უნივერსიტეტისა

გ. ბ. მეგრაბიანცი

შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სარენტგენო და არსენიკის ტოკით ფარადიზაციის, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ღარიბებს უფასოთ. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 5—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფ. 7—92.

ექიმი

ი. ა. ტერ-ოვაკიმოვი

კორინის ქ. № 49, ანდრეევის ქუჩის კუთხე. ვენერიულ სნეულებათა სპეციალისტი (ძველი და ხრონიკული ტრიპერი) სიფილისი და შარდის სნეულებანი, კანის ავათმყოფობანი, „606" და „914" შეხაპუნება. მამაკაცი ავათმყოფების მიღება დილის 10—12 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე.

ექიმი

ა. მ. პაატაშვილი

იღებს ბავშვთა შინაგან და სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა შაბათისა, საღამოს 5—7 საათ. გუნიბის ქ., № 43.

ექიმი

კეკელია

იღებს ვენერიულ სნეულებიან ავათმყოფებს (914, 606 შეხაპუნება) მიიღება დილის 10—11 ს. საღამოს 4—6 საათ. მისამართი: მიხეილის პრ. № 116 სასტუმრო „ნოვი" პირდაპირ. ტელ. 14—28.

დოქტორი

მ. გოლდშტეინი

ყოფილი ასისტენტი ბარონ როტშილდის მთავარი ჰოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავათმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიიღება 10—1 საათამდე და 4—7 საათამდე. ნიკოლოზის ქუჩა, № 32.

ექიმი

ნ. ღ. ტერიაშვილი

მედიცინის დოქტორი მიუნხენის უნივერსიტეტისა იღებს ყოველ დღე შინაგან, საბებიო და ქალურ სნეულებათა ავათმყოფებს დილით 12—2 საათ. ნიკოლოზის ქ. № 7 სიმონოვის აფთიაქის გვერდით.

სამკურნალო კაბინეთი ექიმი

ვ. ნ. გოგიტიძისა

ყოფ. ორდინატორი ვენის კლინიკისა სამხ. საექ. აკადემიისა პეტროგრადში. ვენერიული, კანის, ხიფილ. შარდის და სასქესო ორგანოთა სნეულებანი. „606" და „914" შეხაპუნება. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, კვირა და უქმე დღეების გარდა, საღამოს 4—6 საათამდის. კაშვეთის ქუჩა, № 11.

ექიმი

მ. ფ. მგალობლიშვილი

ქალისა და [illegible] ავათმყოფობის მიღება ყოველდღე საღ. 5—7 საათ. ოლღის ქ. № 41, ტელ. 9—53.

ექიმი

ლ. ი. ცაგარელი

შინაგანი სნეულებანი. იღებს ავათმყოფებს საღამოს 5—7 საათ. ბეჟანის ქუჩა, № 9.

ექიმი მ. ა. შაფრანი.

სპეციალისტი სიფილისი და მისი შედეგები (შეხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით მისამ: ოლღის ქ. № 33.

ექიმი

ბესარიონი პოპოვი

განსაკუთრებით ყელის, ყურის და ცხვირის ავადმყოფებს. მიიღება დილ. 11—12 საათ. და საღ. 5—7 საათამდე. მიხეილის პრ. № 117, ტელ. 18—27.

ექიმი ქალი

რ. ბ. შიმლო-საგაშვილი

მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და [illegible] მედიკურ ქირურგიული კოლეჯისა. იღებს ყოველ დღე შინაგან, ქალურ და ვენერიულ ავადმყოფთა და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს. ხიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 საათ. მიხეილის პრ., № 119, ტელეფონი № 9—26.

ექ. ლ. ი. ჯაფარიძე

ღებულობს შინაგან, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავათმყოფებს დილის 12—1 ნახ. საათ., საღამოს 5—6 საათ. მისამართი: მადათოვის ქ. № 7 ალექსანდროვის ბაღის პირდაპირ ტელეფონი 16—65.

მედიცინის დოქტორი

ალ. ბ. მაჭავარიანი.

იღებს სიფილისტიკურ ავადმყოფთ საღამოს 5—7 საათ. კვირაობის გარდა. მიხეილის ქუჩა სახლი ალიხანოვისა № 111. (მე-2 ეტაჟი) ეზოდან ტელეფონი № 49.

ექიმი

ლ. ვ. ჯაჯანიშვილი

იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღ. 4—6 საათამდე. ზემო ვერა, გუნიბის ქ. № 41, ტელ. № 14—80.

სახელმწიფო თეატრი

ოპერა ს. ი. ევლახიშვილის ხელმძღვანელობით.

პარასკევს, 25 აპრილს, კომპოზიტორ ზ. პ. ფალიაშვილის ბენეფისი შემდეგნის, გრანელის, სარაჯიშვილის და ინაშვილის მონაწილეობით მე-10 ჯერ

აბესალომ და ეთერი

შაბათს, 26 აპრილს „პიკის ქალი".

დაარსდა საქართველოს პასუხისმგებელ მოხელეთა არტელი

რომელიც მიზნათ ისახავს მთავრობის, საზოგადო და კერძო დაწესებულებათ და კერძო მწარმოებელთ, პირველ მოთხოვნისთანავე დაუნიშნოს მომზადებული და საიმედო ბუხჰალტერები, მათი თანაშემწენი, საქმეთა მმართველები, ხაზინადრები, მოლარეები, საწყობის გამგენი და სხვანი არტელის მთელი შემადგენლობის პასუხისმგებლობით.

არტელის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ის უკვე შეუდგა თავის მოვალეობის ასრულებას.

თხოვნების მიღება გრძელდება. ვისაც არტელში ჩაწერა სურს, შეუძლია განცხადება არტელის გამგეობის სახელზე გამოგზავნოს (თფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 11).

საჭირო ცნობები და არტელში ჩაწერის წესები, მსურველებს პირველ მოთხოვნისთანავე გაეგზავნება. (1—1)

მეოთხე რაიონული კოლექტივი

ს. ს. დ. მ. პ. აცხადებს თავის წევრთა საყურადღებოთ, რომ თანახმად 22 მარტის რაიონის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა, ყველა ის წევრნი, რომელთაც არ შეუტანიათ მიმდინარე წელში პარტიის წევრობა—საწევრო გადასახადის შემოტანით ან და 5 მაისამდის არ განაახლებენ, ორგანიზაციიდან გამორიცხულად ჩაითვლებიან და მასთან, ვინც ზემოდ აღნიშნულ დროის განმავლობაში საწევრო ბარათებს უკან არ დააბრუნებს, მათი სახელი და გვარი გამოცხადებული იქნება პარტიულ ორგანოებში და ბარათებიც გაუქმებულად ჩაითვლება.

თფილისის სავაჭრო-სამრეწველო მოსამსახურეთა პროფ. კავშირის გამგეობა ამით აცხადებს ამხანაგების საყურადღებოთ, რომ ამა წლის 11 მაისს 5 საათზე ადგილობრივ დანიშნულია

დელეგატების კრება

და სთხოვს ამხანაგებს დანიშნულ ვადაზე გამოგზავნონ თავიანთი წარმომადგენლები, 15 კაცზე თითო დელეგატი, დღის წესრიგი: არჩევა ახალი გამგეობის და წლიური ანგარიში.

(1—1) გამგეობა.

კანტორა წიგნის მაღაზია „განათლება"

უგზავნის აგენტებს ყველა იმ ჟურნალ-გაზეთებს, რაც კი გამოდის თფილისში, აგრეთვე ახლად დაბეჭდილ წიგნებს. ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი მისამართით: ქ. თფილისი, ფოსტის ყუთი № 96, ხილიბახტრი თავართქილაძეს ტელეფონი 8—44. (1—1)

მესხეთი და ჯავახეთი

შიმშილს განიცდის, უპატრონო ობლები პურს ითხოვენ.

მოქალაქენო, მოიხსენეთ თქვენი მოვალეობა, გაიღეთ თქვენი წვლილი, გაუწოდეთ ძმური ხელი ტანჯულ მოძმეთ.

შემოწირულება მიიღება მესხეთ ჯავახეთის დამხმარე კომიტეტის ბინაზე, გოლოვ. პრ. ს. № 24, ყოველ დღე დილის 11—2 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

მესხეთ-ჯავახეთის დამხმარე კომიტეტი.

[illegible]